ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ირაკლი ნოზაძის დაჭრისთვის 29 წლის თამთა ჯანჯღავა და მისი 24 წლის მეგობარი **დააკავეს**



გვ.2

**26 ივნისიდან**

იორამ ჩადუნელი

**საზღაური**

ქართული დეტექტივი

ტომი 3

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**




ოთხშაბათი, 27 ივნისი, 2018

№150 (7695)

ფასი: 50 თეთრი

# „თუ კახიშვილს გაუშვებენ, წულუკიანის დატოვება არ შეიძლება“





ამ მთავრობის ხელში უფრო მეტი გავლენა აქვთ მაჟორიტარებს. ბიზნესმენები აშკარად უფრო პატივში არიან და მეორეც, ამ მთავრობას სააკაშვილი არ ჰყავს, რომელსაც უფრო ნაკლებად ეშინოდა მაჟორიტარებისა და ბიზნესმენების.

გვ.2





გვ.3

## დავით დარჩიაშვილი: „ივანიშვილის აზრებს დეპუტატი ჭიჭინაძე ახმოვანებს“



გვ.4

## მამუკა ბახტაძემ მთავრობა შეამცირა

ქეთი დოლიძე: „როცა ტოტალური გაუნათლებლობაა, რატომ უნდა გაერთიანდეს განათლებისა და კულტურის სამინისტროები?!“



გვ.4

**სამართალი** გვ.7



ზვიად ფხაკაძე: „ზაზა სარალიძისგან მუქარის ტექსტები მივიღე“

ზაზა სარალიძე: „ზვიად ფხაკაძეს არ დავმუქრებივარ, ვაგინე“

### ისანში ორი უცხოელი ცემეს



### სუფრასთან დაწყებული დაპირისპირება მკვლელობით დასრულდა

დაკავებულია ერთი პირი



**ეკონომიკა** გვ.6

რა ანაზღაურება აქვთ „საქართველოს ბანკის“ მმართველ პირებს



### ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე დავით ამაღლობელის კანდიდატურა განიხილება





„ხარჯების შემცირება პოზიტივია, თუმცა, არსებითად მნიშვნელოვანია, რამდენად სწორია მისი მიზანშეწონილობა“

### დასახლების საკანალიზაციო სისტემაში ნარჩენების ჩაყრა დასჯადი ხდება



ISSN 1987-9385

3 მამუკა ტუსკაძე: „ხელისუფლებამ უნდა დასაჯოს ყველა ჩინოვნიკი, რომლებსაც ერთხელ მაინც ჰყავთ პატიმარი ნაცემი“

5 ვახტანგ მაისაია: „თურქეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართულებით საკმაოდ აგრესიული იქნება“

5 სარეალიზაციო თესლის მწარმოებლებს პროდუქციის ეტიკეტირება მოუწევთ

6 მაია ცქიტიშვილი მთავრობაში კადრების ოპტიმიზაციას არ გამორიცხავს

# „თუ კახიშვილს გაუშვებენ, წულუკიანის დატოვება არ შეიძლება“



ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

***– ბატონო თორნიკე, პრემიერმა სტრუქტურული ცვლილებების შესახებ ოფიციალური განცხადება უკვე გააკეთა – 14-ის ნაცვლად 10 სამინისტრო და ერთიც – სახელმწიფო მინისტრის აპარატი. რამდენად სწორია კონკრეტული სამინისტროების შერწყმა?***

– შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება, მთავარია, რას წარმოადგენენ შესაკრებები. ნორმალურ ხალხს თუ ჩააბარებენ სამინისტროებს და ჯანსაღ სისტემას თუ შექმნიან, სადაც ნიჭიერ ხალხს აქვს თავის გამოჩენის საშუალება, მაშინ საქმე გაკეთდება. სხვა შემთხვევაში, შეერწყმება თუ არ შეერწყმება, მნიშვნელობა არ აქვს.

***– განათლების სამინისტროზე რას იტყვით?***

– განათლების სამინისტრო, ჯობდა, ცალკე ყოფილიყო, რადგან უმძიმეს დღეშია ეს სამინისტრო, სტრატეგიული და ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა. თუ შეერწყმება, ნორმალურ მინისტრს დანიშნავენ და ნორმალური გუნდი იქნება, უკეთესია და, თუ იგივე დარჩება, რა მნიშვნელობა აქვს მაშინ.

განათლებაში რომ კატასტროფა გვაქვს, ეს ჩანს ჩვეულებრივი ღია სტატისტიკური მონაცემებიდან. ყოველ წელიწადს 20-25% ბავშვებისა იჭრება ერთიან ეროვნულ გამოცდაზე. ერთიანი ეროვნული გამოცდა არ მოითხოვს არანაირ განსაკუთრებულ გონებრივ შესაძლებლობებს. ეს არის ძალიან ჩვეულებრივი ტესტი, რომელიც ნებისმიერმა საღად მოაზროვნე თინეიჯერმა უნდა ჩააბაროს.

***– უშველის განათლების სამინისტროს მინისტრების ცვლა თუ ძირეული ცვლილებებია საჭირო?***

– რა თქმა უნდა, ძირეული ცვლილებებია საჭირო. ამას სჭირდება გაწერა, სერიოზული მოფიქრება რეფორმების, მერე კარგი გუნდის მოყვანა და მერე ამ გუნდს უნდა აცადონ მუშაობა. ამ ქვეყანაში ამ სამიდან არც ერთი არ სრულდება. არავის აცლიან მუშაობას. ხან ერთი მოვა, ხან მეორე. მოვა ახალი მინისტრი, ყველაფერს დაანგრევს, ხელახლა იწყებს მშენებლობას, შესაბამისად, განათლების სფეროში, სამწუხაროდ, კარგს არაფერს ველი.

მიდგომაა არასწორი. არ კეთდება ძირითადი აქცენტი საშუალო სკოლებზე. ძირითადი აქცენტი კეთდება უმაღლეს სასწავლებლებზე და, საძირკველი რომ დამპალია, ზემოდან რას დააშენებ, რა მნიშვნელობა აქვს?!

***– დარჩება თუ არა თეა წულუკიანი იუსტიციის მინისტრად? გაერთიანდა იუსტიციისა და სასჯელაღსრულების სამინისტროები, ან სად წავა კახიშვილი?***

– ეს უკვე „ოცნების“ პრობლემაა. თუ კახიშვილს გაუშვებენ და წულუკიანს დატოვებენ, ეს არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. მინისტრი, რომელიც ყველაზე მეტ სიმპათიებს იმსახურებდა, ის გაუშვა და დატოვო ის, ვის გამოც რეალურად მოხდა ქვეყანაში კრიზისი, ძალიან დიდი შეცდომა იქნება.

ეს მთლიანად მათი გადასაწყვეტია. მთავრობა ჩვენგან კრიტიკას არ იღებს, თუ პარლამენტში ვინმე რამეს იტყვის, 9 წელიო, მაშინვე მიაძახებენ. ჩვენი ხმა მაგათ არ ესმით. თუ ეს იქნება მხოლოდ ფორმალური ცვლილებები, ამით არაფერი შეიცვლება!

***– თავად „ქართული ოცნების“ შიგნით ალაპარაკდნენ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე. რამდენად მიდის აქეთკენ ყველაფერი?***

– ამის გაკეთება მათი მხრიდან იქნება აღიარება იმისა, რომ ქვეყანაში კრიზისია. ისინი კი არ აღიარებენ იმას, რომ კრიზისია. არის მეორე საკითხიც. არჩევნებში ვიღაცებს დიდი ფული აქვთ ჩადებული. ვგულისხმობ მაჟორიტარებს. მაჟორიტარები საკმაოდ დიდი ფულს იხდიან და მერე გარანტია უნდათ, რომ ოთხი წელი მათ არავინ შეეხება და თავიანთი ბიზნესიანად მშვიდად იქნებიან.

ამიტომ ასე მარტივი არ იქნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. შევახსენებ თქვენს მკითხველს, ვარდების რევოლუციის შემდეგ არჩევნების შედეგი რომ გაუქმდა, გაუქმდა მხოლოდ პროპორციული შედეგები, მაჟორიტარებს სააკაშვილმაც კი ვერ დააკარა ხელი.

***– რატომ ვერ დააკარა?***

– მაჟორიტარებს არჩევნები მოგებული ჰქონდათ, ფული ჰქონდათ ჩადებული და ამის წინააღმდეგ წასვლა რთულია. თვით მიშასთვისაც კი რთული იყო მათ წინააღმდეგ წასვლა. ახლა, ამ სიტუაციაში, ამ მთავრობისთვის მაჟორიტარებისთვის ასე ხელაღებით თქმა, ხელახლა უნდა ჩავატარო არჩევნები, წადით და ხელახლა დახარჯეთ ამდენი ფულიო, ნამდვილად არ იქნება ასე მარტივი.

***– ამ მთავრობის პირობებშიც არაერთხელ გამოაჩინეს კბილები მაჟორიტარებმა. თქვენ ფიქრობთ, რომ არ დაუთმობენ?***

– ზუსტად. ამ მთავრობის ხელში უფრო მეტი გავლენა აქვთ მაჟორიტარებს. ბიზნესმენები აშკარად უფრო პატივში არიან და მეორეც, ამ მთავრობას სააკაშვილი არ ჰყავს, რომელსაც უფრო ნაკლებად ეშინოდა მაჟორიტარებისა და ბიზნესმენების.

***– ანუ არ უნდა ველოდოთ ვადამდელ არჩევნებს?***

– არა მგონია, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ვადამდელი არჩევნები დანიშნონ.

***– რას ელით ბახტაძისგან? სულ გვესმის შეფასებები, რომ ის კიდევ უფრო ფორმალური პრემიერი იქნება, ვიდრე კვირიკაშვილი იყო. რა გეგმები აქვს ივანიშვილს ბახტაძესთან დაკავშირებით?***

– ბახტაძე-ივანიშვილის ტანდემი რომ შევაფასოთ, თუ ბახტაძე მართლაც დაახლოებულია ივანიშვილის ოჯახთან, როგორც ამბობენ, ეს ბახტაძისთვის ძალიან სერიოზული კოზირია.

***– რა თვალსაზრისით?***

– ჯერ ერთი, ქართულ პოლიტიკაში მთავარია ივანიშვილის ნდობით სარგებლობა. კვირიკაშვილს ჰქონდა ამ მხრივ პრობლემები თავიდანვე. 2012 წლის არჩევნებზე იგი არ იყო „ქართულ ოცნებაში“, მოძულებული ჰყავდა ივანიშვილს და მერე დააბრუნა გუნდში, როგორც ჩანს, აპატია რაღაცა. ასე რომ, თავიდანვე არ იყო ის ნდობა მათში, როგორც ეს საქმეს სჭირდებოდა.

დღეს ეს ნდობა აქვს ბახტაძეს აშკარად. შესაბამისად, ბახტაძეს ექნება გაცილებით მეტი პოლიტიკური მხარდაჭერა, ვიდრე კვირიკაშვილსა და ღარიბაშვილსაც კი. ეს კი ბახტაძისთვის დიდი პლუსია. მაგრამ...

***– არსებობს მაგრამ?***

– მარტო მხარდაჭერა რას უშველის, თუ ბუნებამაც არ უშველა. თვითონ თუ არ გამოავლინა ფხა, ცოდნა და მმართველობის უნარი, მარტო ბიძინას მხარდაჭერა ვერ უშველის.

***– რამდენად გრძელვადიანი იქნება ახალი მთავრობა?***

– წესით, ამ მთავრობამ, სულ ცოტა, უნდა მიაღწიოს 2020 წლის არჩევნებამდე. თუ არჩევნებს ისევ მოიგებს „ოცნება“, მერე შევხედოთ, რა იქნება. ბიძინა ივანიშვილი ალბათ ბახტაძეს არ გამოცვლის, მაგრამ, თუ დაინახა, რომ ბახტაძემ ეფექტურობა ვერ გამოავლინა, არ არის გამორიცხული, ის გახარიათი ჩაანაცვლოს.

***– ამბობენ, რომ ბიძინა ივანიშვილი ყველაზე დიდ ნდობას ინფრასტრუქტურის სამინისტროს უცხადებს და ყველაზე მეტი ფუნქცია სწორედ ამ სამინისტროს მიენიჭა. ეს მაია ცქიტიშვილის ფაქტორიდან გამომდინარეობს?***

– დიახ, რა თქმა უნდა. ის ერთ-ერთი იშვიათთაგანია, რომელიც სარგებლობს ბიძინა ივანიშვილის სრული ნდობით. პლუს ამას ინფრასტრუქტურის სამინისტრო არის ერთ-ერთი ყველაზე ფულიანი სამინისტრო. ფულიან სამინისტროს სჭირდება კონტროლი და ისეთი ადამიანი, რომელიც სარგებლობს მისი სრული ნდობით.

როდესაც ცქიტიშვილის პრემიერობაზე საუბრობდნენ, მე ეს გამოვრიცხე, რადგან დასავლეთში მას საერთოდ არ ჰქონდა ცნობადობა. უცხოეთში მას საერთოდ არ იცნობდნენ. ბახტაძეს რაღაც მოუხერხეს და შედარებით მცირე ცნობადობა ჰქონდა. ასე რომ, ცქიტიშვილი ჯერჯერობით დარჩება ამ სამინისტროში, როგორც ბიძინა ივანიშვილის ყურები და თვალები!

***– ბახტაძემ განაცხადა, რომ კონსულტაციები ახალ სახეებთან უკვე დასრულებულია. რამდენი მინისტრის ცვლილებას ელით?***

– არ ველი მაინცდამაინც დიდ ცვლილებებს. რა თქმა უნდა, მთლიანად ჩანაცვლდება კვირიკაშვილის გუნდი. ქუმსიშვილი და ჯანელიძე რომ აღარ იქნებიან, ეს ისედაც ვიცით. შეიძლება, კიდევ ზრდილობის გამო, რათა არ დარჩეს შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ კვირიკაშვილი და მისი გუნდის წევრები გაუშვეს, კიდევ ერთიორი მინისტრი შეიცვალოს. ბუნებრივია, დარჩებიან ძალოვნები. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებში კი დაინიშნებიან უშუალოდ ბახტაძის კადრები.

***– სად წავა კახიშვილი? შესაძლოა, რომ მთავარ პროკურორად გაუშვან?***

– ეს ალბათ ძალიან კარგი არჩევანი იქნება, ამას არ გააპროტესტებს არავინ, ხოლო თუ წულუკიანს გაუშვებენ და კახიშვილს დატოვებენ, ამით რაღაცნაირად სახეს შეინარჩუნებს მთავრობა. ვნახოთ, რას შემოგვთავაზებს ბახტაძე. პირადად მე ძალიან ფრთხილი ოპტიმიზმით ვარ განწყობილი.

## ირაკლი ნოზაძის დაჭრისთვის 29 წლის თამთა ჯანჯღავა და მისი 24 წლის მეგობარი დააკავეს



ირაკლი ნოზაძის დაჭრის ფაქტზე ორი პირის დაკავების შესახებ შსს ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 29 წლის თამთა ჯანჯღავა და მისი 24 წლის მეგობარი თბილისში დააკავეს. განზრახ მკვლელობაში ბრალდებულის მეგობარს კი 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული თ.ჯ. განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, ხოლო მისი მეგობარი – 1994 წელს დაბადებული ნ.თ. დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ თ.ჯ.-მ მიმდინარე წლის 25 ივნისს თბილისში, წერეთლის გამზირზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით სხეულზე დაზიანება მიაყენა 1979 წელს დაბადებულ ირაკლი ნოზაძეს. თ.ჯ. შემთხვევის ადგილიდან თანმხლებ პირთან ერთად მიიმალა. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ხოლო მის მეგობარს დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის 2-დან 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

სამართალდამცველებმა ორივე ბრალდებული თბილისში, მოსკოვის გამზირზე მდებარე ერთ-ერთ საერთო საცხოვრებელ სახლში დააკავეს“, – აცხადებენ შსს-ში. მათივე ცნობით, გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 19-108-ე მუხლითა და 376-ე მუხლით მიმდინარეობს.

## ვახტანგ ძაბირაძე: „სამინისტროების ასეთ დაშლას, მიერთებასა და მექანიკურ გადაადგილებებს ხელშესახები შედეგი არასდროს მოუტანია“



– სამინისტროების ასეთ დაშლას, მიერთებასა და მექანიკურ გადაადგილებებს ხელშესახები შედეგი არასდროს მოუტანია.

ამის შესახებ პოლიტოლოგმა ვახტანგ ძაბირაძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, რითაც პრემიერ-მინისტრის მიერ წარდგენილი მთავრობის სტრუქტურული ცვლილებები შეაფასა.

მისი თქმით, სამინისტროების ამგვარი გადაადგილებებით ხარჯები, შემცირების ნაცვლად, იზრდება ხოლმე.

– ასეთი ცვლილებები ბოლო 30 წლის განმავლობაში არაერთხელ გვინახავს. ეს სიახლე არ არის. ასეთ დაშლას, მიერთებას და მექანიკურ გადაადგილებებს რაიმე ხელშესახები შედეგი არასდროს მოუტანია, არცერთი მთავრობის ქვეშ. ეს არ არის პირველი შემთხვევა, ყველა ხელისუფლებამ გადადგა ასეთი ნაბიჯი – გამსახურდიამ, შევარდნაძემ, სააკაშვილმა და დღევანდელმა ხელისუფლებამაც. შედეგი არსად არ მინახავს და აქ რატომ მოხდება რამე არაორდინალური, არ მესმის. ზოგადად, ასეთი გადაადგილებების შემდეგ ხარჯები კი არ მცირდება, პირიქით, ხშირ შემთხვევაში, იზრდება ხოლმე, – განაცხადა ვახტანგ ძაბირაძემ.

პოლიტოლოგმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას ისიც აღნიშნა, რომ მსგავსი გადაწყვეტილება ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმაც მიიღო, თუმცა შედეგი არც მას მოჰყოლია. მისივე თქმით, სამთავრობო ცვლილებებთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები ყოველთვის ერთნაირია და, ამავდროულად, ყოველთვის უშედეგო.

– გვქონდა ჩვენ ასეთი რესტრუქტურიზაციის ვარიანტი, როდესაც სამინისტროებს სთხოვეს, რომ შეემცირებინათ ხარჯები და ყველა ინიციატივით გამოვიდა, ვინ რამდენს შეამცირებდა. ერთია განცხადებები, მაგრამ მერე რა თქმა უნდა, ყველაფერი ძველ კალაპოტში დაბრუნდა. ასე იქნება ახლაც. ყველა ასეთ ცვლილებას ზუსტად ეს განცხადებები ახლავს – შემცირდება ხარჯები, შემცირდება ბიუროკრატია, მთავრობა უფრო ეფექტური და მოქნილი გახდება. ერთსა და იმავე არგუმენტებს ასახელებენ, ერთნაირი განცხადებები კეთდება. იმავე „ქართული ოცნების“ პირობებში, გიორგი კვირიკაშვილმა მოახდინა სამინისტროების შეერთება. ვინმემ გვითხრა ამან რა შედეგი მოიტანა? და თუ იმან შედეგი არ მოიტანა, დღევანდელი რითია განსხვავებული და ეს რატომ მოიტანს შედეგს, ამას გვეტყვის ვინმე? არავინ არაფერს გვეტყვის იმიტომ, რომ არც არაფერი მოხდება, – განაცხადა ვახტანგ ძაბირაძემ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით დარჩიაშვილი: „ივანიშვილის აზრებს დეპუტატი ჭიჭინაძე ახმოვანებს“

ნათია ხურცილავა

**„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო დავით, მცირე მთავრობის კონცეფცია, რომელზეც ახალმა პრემიერმა ისაუბრა, რამდენად ეფექტური შეიძლება იყოს, იმუშავებს?***

– მთავარი ის კი არ არის, ჩვენი სახელმწიფო სისტემის ავ-კარგიანობის გასასინჯად 14 მინისტრი იქნება, თუ 10 მინისტრი, მთავარი სულ სხვა საკითხია.

***– კონკრეტულად?***

– ის, რომ პრემიერი ფორმალურად ასრულებს კონსტიტუციურად ძალიან მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო ფუნქციას, რომ რეალურად სულ სხვაგან წყდება ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები. კონსტიტუციით, პრემიერ-მინისტრს მთელი მინისტრთა კაბინეტი უნდა ემორჩილებოდეს, მაგრამ მას ძალოვან სტრუქტურებზე რეალურად გავლენა არა აქვს.

***– ასე ფიქრობთ?***

– რა თქმა უნდა, მას არანაირი გავლენა არ ექნება ძალოვნებზე. ჩვენ, ასევე, არ ვიცით ბიუროკრატიული აპარატი შემცირდება თუ ისევ ისე შენარჩუნდება, როგორც იყო.

***– ბახტაძე 120 მილიონის დაზოგვაზე საუბრობს.***

– ბახტაძე კი საუბრობს 120 მილიონის ეკონომიაზე, მაგრამ თუ ბიუროკრატიული აპარატი არ შემცირდა, ამას როგორ გააკეთებს?! ეს ძალიან სერიოზული საკითხია. რის ხარჯზე მოხდება ეს დაზოგვა?! ბევრი სხვა საკითხია, რომელიც თვალნათლივ აჩვენებს, რომ თუ პოლიტიკის არსი არ შეიცვალა, არაფერი არ შეიცვლება და ეს მხოლოდ ფორმალობა იქნება და სხვა არაფერი.

***– იქნებ იცვლება?***

– პოლიტიკა არსში რომ შეიცვალოს, ამისთვის, პირველ რიგში, საჭიროა პოლიტიკური ნება და მეორე – ინტელექტუალური რესურსი, რაც „ქართულ ოცნებას“ არ აქვს. ამიტომ ვამბობ, რომ მცირე მთავრობის კონცეფციას ხანგრძლივ პერსპექტივაში არანაირი ეფექტი არ ექნება, თუ რეალურად არ იქნება ამის პოლიტიკური ნება. შეიძლება ეს იყოს ორთქლის ერთგვარი გამოშვება, თან გააჩნია, მინისტრებად ვის დატოვებენ ახალ კაბინეტში, ცხადია, პერსონებს ვგულისხმობ. ამ ორთქლის გამოშვებას ისევ კრიზისული მოვლენები მოჰყვება.

***– სოზარ სუბარმა დაადასტურა, რომ ახალ კაბინეტში არ იქნება, მაგრამ ჯერ არაფერი ვიცით წულუკიანზე. რატომ არ ელევა წულუკიანს „ქართული ოცნება“?***

– ყველამ ყველაფერი ვიცით. ივანიშვილი იღებს ამ გადაწყვეტილებებს. როგორც ბიძინა ივანიშვილს უნდა, ისე იქნება. რატომ გაიწელა ასე წულუკიანთან დაკავშირებით ეს ამბავი, რა შეხედულებები აქვს მას წულუკიანზე, ვერ გეტყვით. ერთი შეიძლება გითხრათ, ივანიშვილს მოსწონს, როდესაც ადამიანს ძალიან დიდი ბოლმა აქვს გულში და სხვების მიმართ მსგავსი დამოკიდებულება აქვს. სხვები კიდევ მის მიმართ იგივე დამოკიდებულებას იჩენენ. ეს ივანიშვილს რაღაცნაირად მოსწონს, ეს მისი მართვის სტილია. სანამ პირადად არ იგრძნობს, რომ წულუკიანი მისი პრობლემა შეიძლება გახდეს, ასეთ გაურკვევლობაში გვამყოფებს.

***– საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ახლა მთავარია, პოლიტიკურად ნეიტრალური მთავარი პროკურორი დაინიშნოს.***

– ივანიშვილი თავისი ნებით მთავარი პროკურორის დამთმობი არ არის. ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება და რამდენად იქნება საზოგადოებრივი ნება მობილიზებული, თორემ ამის პოლიტიკური ნება რომ არ იქნება, ეს ცხადზე ცხადია. ოპოზიციური სპექტრი, სამოქალაქო საზოგადოება, ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქეები, რომლებსაც ეს ყველაფერი უკვე ყელში ამოუვიდათ – თავის სიტყვას საერთაშორისო თანამეგობრობაც იტყვის და ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, ხელისუფლებას მოუწევს ამ დათმობისკენ წასვლა.



***– ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს შეიძლება მთავარ პროკურორთან დაკავშირებით რეკომენდაციები ჰქონდეთ ხელისუფლებასთან?***

– მე არ გამოვრიცხავ, რომ ამ საკითხზე თავის სიტყვა საერთაშორისო თანამეგობრობამ თქვას. ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები ხელისუფლებას ამ საკითხში ალბათ დათმობისკენ უბიძგებენ. თუმცა, თუ ფორმალურად ამ პროცედურის განხორციელება წულუკიანის ხელში დარჩა, მაშინ რანაირად შეიძლება მთავარი პროკურორის საზოგადოებრივ ნდობასა და ნეიტრალიტეტზე ვილაპარაკოთ?!

***– საპროკურორო საბჭოში, რომელიც ირჩევს მთავარ პროკურორს, უმრავლესობას „ოცნება“ წარმოადგენს.***

– „ქართული ოცნების“ ნება უცებ გატყდება, თუკი ივანიშვილმა უკან დაიხია. ვნახოთ.

***– „ქართული ოცნების“ დეპუტატმა, დავით ჭიჭინაძემ, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე ისაუბრა. მისი ბევრი მესიჯი შემდეგ რეალობად იქცევა ხოლმე. ოპოზიცია ამბობს, რომ ის ივანიშვილის მოსაზრებებს ახმოვანებს. ივანიშვილს შეიძლება მართლაც არ მოსწონდეს პარლამენტში წარმოდგენილი „ქართული ოცნება“ და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს?***

– მეც არ გამოვრიცხავ, რომ ჭიჭინაძე ივანიშვილის აზრების ერთ-ერთი გამხმოვანებელი იყოს და არა – ერთადერთი. ივანიშვილი ბოლომდე არც ერთ პერსონაჟს არ ენდობა და არ ეყრდნობა. თუმცა, ერთ-ერთი პერსონაჟი, რომელიც აჟღერებს ივანიშვილს, სწორედ ჭიჭინაძეა.

ამიტომ შეიძლება მართლაც ვიფიქროთ, ვიღაცამ ურჩია ივანიშვილს, რომ ყურადღება მიექცია, მაგალითად, მეზობელ თურქეთში განვითარებული მოვლენებისთვის. ერდოღანმა უკმაყოფილების ტალღას დაასწრო და ვადამდელი არჩევნები დანიშნა. მან იცოდა, ჯერ ჰქონდა იმდენი ავტორიტეტი, რომ გაიმარჯვებდა და გაიმარჯვა კიდეც. ახალი ლეგიტიმაცია კი ერდოღანს აძლევს შესაძლებლობას, რომ კვლავ დარჩეს ხელისუფლებაში. მე არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ამ სცენარზე ფიქრობდეს ბიძინა ივანიშვილი.

გულიკო ბალაძე

# მამუკა ტუსკაძე: „ხელისუფლებამ უნდა დასაჯოს ყველა ჩინოვნიკი, რომლებსაც ერთხელ მაინც ჰყავთ პატიმარი ნაცემი“

**უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მოითხოვს, ხელისუფლებამ დასაჯოს ყველა ის ჩინოვნიკი, რომლებსაც სააკაშვილის რეჟიმის პირობებში ერთხელ მაინც ჰყავთ პატიმარი ნაცემი, ან განსჯისა და სასჯელის გარეშე ქუჩაში ადამიანი ჰყავთ მოკვდინებული.**



– წამების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიხსნა ახალი მე-7 დაწესებულება. სასჯელაღსრულების სამინისტრომ გააუქმა ძველი დაწესებულება. ახლის გახსნაზე მიგვიწვია უფლებადამცველები, მე, გელა ნიკოლაიშვილი, ნანა კაკაბაძე, გიორგი თევზაძე და სხვები. უფლებადამცველებს შენობა დაგვათვალიერებინეს. ყბადაღებული მე-7 დაწესებულება, სადაც ჯურღმულებში სასჯელს განსაკუთრებული სიმძიმის დამნაშავეები იხდიდნენ, გაუქმდა, – განაცხადა მამუკა ტუსკაძემ.

***– კონკრეტულად რა კატეგორიის მსჯავრდებულები იხდიან მე-7 დაწესებულებაში სასჯელს?***

– ე.წ. კანონიერი ქურდები და მათთან გათანაბრებული პირები. ძალიან მცირე რაოდენობაა, მაგრამ ძალიან არაადამიანურ პირობებში იმყოფებოდნენ. ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, ყველა ადგილობრივი უფლებადამცველი წინააღმდეგი ვიყავით პატიმრობის ისეთ პირობებში სასჯელის მოხდისა, როგორიც ძველი მე-7 დაწესებულება იყო.

რამდენიმე თვის წინ სასჯელაღსრულების მინისტრმა კახიშვილმა აღნიშნული დაწესებულების დახურვისა და პატიმრებისთვის ახალი შენობის გახსნის გადაწყვეტილება მიიღო და რამდენიმე თვეში გაიხსნა კომფორტული, ადამიანის უფლებების ყველა საერთაშორისო ნორმის დაცვით ციხე – მე-7 დაწესებულება, რომელიც განთავსდება არა შს სამინისტროს ჯურღმულებში, არამედ მე-9 დაწესებულების გვერდით, ე.წ. მატროსოვზე (ამჟამად აბუსერიძის ქუჩა ჰქვია).

***– რას ნიშნავს კომფორტული ციხე?***

– მოვლილი, ყველაფერზე გათვლილი, ყველანაირი უსაფრთხოების სტანდარტები დაცულია, რომ მსჯავრდებულმა, რომელიც განსაკუთრებული რისკის მატარებელია, სასჯელი მოიხადოს ნორმალურ ადამიანურ პირობებში.

მსჯავრდებულებსაც გააჩნიათ თავიანთი პირობები, რომლებსაც სასჯელაღსრულება ზედმიწევნით კარგად ახორციელებს. სასჯელაღსრულების სამინისტრო ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტად წარმატებული სამინისტროა, რომელიც მის ფუნქციას ბრწყინვალედ ასრულებს. მე-7 დაწესებულების დახურვა ამის ნათელი მაგალითია. მსჯავრდებულები გუშინ ახალ დაწესებულებაში უკვე გადაიყვანეს.

***– ყოფილ მე-7 დაწესებულებას რა ბედი ეწევა?***

– მე-7 დაწესებულება იყო შს სამინისტროს სარდაფში. ამიტომ ყოფილი მე-7 დაწესებულების ფართი, სავარაუდოდ, შს სამინისტროს გადაეცემა. ამ სარდაფში შს სამინისტროს სასწავლო ცენტრის გახსნა სურს. ციხის ფუნქცია აღარ ექნება.

***– როგორც ცნობილია, მე-7 დაწესებულებაში პატიმრებს აწამებდნენ.***

– მე-7 დაწესებულება იყო ჯურღმულში, სადაც იყო ანტისანიტარია და საშინელი პირობები, მსჯავრდებულს ფიზიკური არსებობა უჭირდათ. ძალიან მძიმე მდგომარეობა სუფევდა. თუმცა, კახიშვილის სწორი გადაწყვეტილებით, კომფორტული საპატიმრო დაწესებულება გაკეთდა, სადაც განსაკუთრებული რისკის პატიმრები სასჯელს ადამიანურ პირობებში მოიხდიან. ეს იყო 21-ე საუკუნის გამოწვევა.

***– ყოფილ მე-7 დაწესებულების ადგილზე მუზეუმს ხომ არ ხსნიან?***

– მუზეუმის გახსნა კარგი იქნებოდა მე-5 დაწესებულებაში, მაგრამ სააკაშვილის რეჟიმმა ცნობილი ორთაჭალის ციხე, სადაც საშინელებები ხდებოდა, დაწყებული სტალინური რეჟიმის დროიდან, კომუნისტურ პერიოდში და შემდეგაც წინა რეჟიმების კვალი რომ წაშლილიყო, ბოლომდე გაანადგურა.

გუბელსკის ციხე ნამდვილად ისტორიული დაწესებულება იყო, სადაც ცნობილი ადამიანები აწამეს, მათ შორის, მიხეილ ჯავახიშვილიც. სააკაშვილის დროს ამ ისტორიული ფაქტების ყოველგვარი ნიშანწყალი წაშალეს. მე გლდანის ციხის მუზეუმად გამოცხადება მოვითხოვე. გლდანის ციხეში არის საკნები, სადაც ხალხი დახოცილია. გლდანის ციხეში იგივე მეორდებოდა, რაც გუბელსკის ციხეში. გუბელსკის ციხე აღარ არსებობდა, მაგრამ ისევ აწამებდნენ პატიმრებს, ოღონდ, უფრო გამჭვირვალედ. მოვითხოვ, გლდანის ციხე გადაკეთდეს მუზეუმად. არ არის საჭირო, ერთდროულად ამდენი პატიმარი ერთად იყოს მოთავსებული. საჭიროა, გლდანის ციხე სხვადასხვა ზონად დაიყოს. სასჯელაღსრულების სისტემის მართვაც ადვილი გახდება. მოვუწოდებ ხელისუფლებასა და საზოგადოებას, ეს ინიციატივა გაითავისოს.

***– კახიშვილი რომ არ იქნება, რა ეშველება სასჯელაღსრულების სისტემას? შეიძლება, კახიშვილი მთავარ პროკურორად დაინიშნოს.***

– თუ კახიშვილი დაწინაურდება, სადაც იქნება, იქ იქნება მართლწესრიგი, იქ იქნება სამართლიანობა. არ აქვს მნიშვნელობა, კახიშვილი შს მინისტრი იქნება, პროკურორი თუ სასჯელაღსრულებისა და იუსტიციის მინისტრი. სადაც კახიშვილი იქნება, იქ იქნება ის ადამიანური სიკეთეები.

მეორე მხრივ, კახიშვილმა ისე ააწყო სასჯელაღსრულების სისტემა, ვინც უნდა წავიდეს აღნიშნულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ბევრს ვერაფერს შეცვლის. მთავარია, კვალავ არ მოინდომონ რეჟიმის დაბრუნება.

***– იმის საშიშროება არ არსებობს, რომ სხვისი ხელმძღვანელობის პირობებში შეიძლება, ეს აწყობილი სისტემა დაინგრეს?***

– იმის საშიშროება არ არსებობს, რომ კახიშვილი წავა და სისტემა დაინგრევა. კახიშვილი სხვაგანაც ისევე მოაწესრიგებს სხვა სახელმწიფო უწყებას.

***– რამდენად ხართ კმაყოფილი იმ რეაგირებით, რომელიც იყო მწამებელთა წინააღმდეგ?***

– გუშინ წამების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე იყო. 6 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ადამიანების წამება დამთავრდა, როგორც ციხეებში, ასევე – გარეთ. თუმცა, სულ რამდენიმე ჩინოვნიკს მოსთხოვეს პასუხი, რომლებიც ციხეებში მუშაობდნენ. რამდენიმე ადამიანს მსუბუქი სასჯელი შეუფარდეს, ზოგს პირობითი სასჯელი აკმარეს. ეს იყო დაცინვა სამართლიანობის აღდგენის გზაზე.

***– მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი სამმართველო ხომ შეიქმნა პროკურატურაში და გარკვეული საქმეები ხომ შეისწავლა?***

– ხარვეზები არა მხოლოდ მართლმსაჯულების, არამედ ყველა სფეროში არსებობდა. მართლმსაჯულების მიმართულებით აუცილებელი იყო, პასუხი ეგოთ იმ ადამიანებს, რომლებმაც საშინელი რეჟიმის შემოქმედის როლი იკისრეს, შეასრულეს რეჟიმის დავალებები და პატიმრებს საშინელ მდგომარეობაში ამყოფებდნენ. ძალიან მცირე ჯგუფის გარდა, ფაქტობრივად, ფაცაციასა და რამდენიმე ადამიანის გარდა, პასუხი არავის უგია. აქ ძალიან კურიოზული მდგომარეობაა.

***– რატომ არის კურიოზული მდგომარეობა?***

– კურიოზული მდგომარეობაა, რადგან მწამებლების ძირითადი ნაწილი დაუსჯელია და საშიშროება ახლაც არის, თუ ხელისუფლება გადაწყვეტს, რომ რეჟიმი კვლავ დაამყაროს, მათ მწამებლები გვერდით დაუდგებიან. იმედი მაქვს, ხელისუფლება არ მიტრიალდება რეჟიმის მიმართულებით, თორემ გაუადვილდებათ შემსრულებლების პოვნა. ისინი სხვადასხვა მმართველობით სისტემაში არიან ჩარჩენილი.

***– ანუ საკმარისი არ არის სამართლიანობის აღდგენის ტემპი?***

– დიახ, ხელისუფლებამ უნდა დასაჯოს ყველა ჩინოვნიკი, რომლებსაც ერთხელ მაინც ჰყავთ პატიმარი ნაცემი, ან განსჯისა და სასჯელის გარეშე ქუჩაში ადამიანი მოკვდინებული; ყველა დამნაშავეს კანონის ფარგლებში მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო პასუხი უნდა აგებინოს.

***– თქვენ სასჯელაღსრულების სისტემის აწყობასა და კახი კახიშვილის როლზე ბევრს საუბრობთ. თუ კახი კახიშვილი გახდება მთავარი პროკურორი, ყველა დამნაშავეს პასუხს აგებინებს?***

– დარწმუნებული ვარ, თუ კახი კახიშვილი გახდება მთავარი პროკურორი, ასეც იქნება.

***– თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ მთავარ პროკურატურაში მართლმსაჯულების ხარვეზების დასადგენად შექმნილ სამმართველოში სააკაშვილის რეჟიმის დროინდელი საქმეების გადასინჯვაზე სულ 6 გამომძიებელი იძიებს 200 თუ 300 საქმეს. ამიტომაც არის ტემპი დაბალი.***

– წულუკიანის განცხადება სიმართლესთან ახლოს არის, მაგრამ სიმართლე არ არის. 22 გამომძიებელი მუშაობს სააკაშვილის რეჟიმის დროინდელ საქმეებზე. მათ შორის არის ჩემი საქმეც. ხუთი წელი გავიდა ჩემი დაკითხვის შემდეგ, მაგრამ კაციშვილს არ აინტერესებს ჩემი აზრი სააკაშვილის რეჟიმზე, რომელსაც პირადად მე ვყავარ ნაწამები, თან პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე მაწამეს.

***– თქვენ კონკრეტულად ვინ გაწამებდათ, ვის უჩივით?***

– გლდანის ციხის ყოფილ უფროს ოლეგ ფაცაციას, რომლისთვისაც ჩემი წამების ეპიზოდზე პასუხი არ მოუთხოვიათ. ოლეგ ფაცაცია იყო ის ადამიანი, რომლის გამოისობით ორი ნეკნი და ყბა დამიზიანდა. ასევე პასუხი უნდა აგონ იმ პირებმა, რომლებიც 2011 წლის 22 მაისს მორიგე იყვნენ. ისინი ყველანი ჩემი მწამებლები არიან.

***– პატრიოტთა ალიანსს პარლამენტში შეაქვს პროექტი და სააკაშვილის ხელისუფლების რეჟიმად აღიარებას მოითხოვს.***

– პატრიოტთა ალიანსს ეს შეეძლო გაეკეთებინა ერთი წლის წინაც. მე, როგორც მოძრაობა „სამართლიანობის“ დამფუძნებელი, მხარს დავუჭერ, თუ პატრიოტთა ალიანსი მართლაც შეეცდება სამართლიანობის დამკვიდრებასა და სააკაშვილის მმართველობის რეჟიმად აღიარებას.

# ქეთი დოლიძე: „როცა ტოტალური გაუნათლებლობაა, რატომ უნდა გაერთიანდეს განათლებისა და კულტურის სამინისტროები?!“

## „თეატრალურ ინსტიტუტში ასწავლის ხალხი, რომლებსაც მე ორ ბატს არ ვანდობდი!“

ნონა ცაბაძე

**სამინისტროების რესტრუქტურიზაციისა და შერწყმის საკითხს რეჟისორი ქეთი დოლიძეც ეხმაურება. როგორც დოლიძე აღნიშნავს, განათლებისა და კულტურის სამინისტროების გაერთიანება კულტურას დაღუპავს.**

„ახალი თაობა“ ქეთი დოლიძეს ესაუბრა.

*— ქალბატონო ქეთი, თქვენ პესიმისტურად უყურებთ განათლებისა და კულტურის სამინისტროების გაერთიანებას, მიიჩნევთ, რომ ეს კულტურას მთლიანად დაღუპავს. რატომ ფიქრობთ ასე?*

— განათლებას იმდენად დიდი პრობლემები აქვს საქართველოში, იმდენად უზარმაზარი, რომ ის უნდა იყოს ცალკე! შეხედეთ ტელევიზიას, შეხედეთ, როგორ მეტყველებს ხალხი ქუჩაში, ტელევიზიით, გინდაც წამყვანი, გინდაც მინისტრი. ჩვენ განათლების დიდი დეფიციტი გვაქვს! განათლება უნდა იყოს ცალკე! ეს საწყალი კულტურაც უნდა იყოს ცალკე!

*— გაერთიანებას ეწინააღმდეგებით?*

— რანაირად უნდა იყოს ეს ერთად, გამაგებინოს ვინმემ! უპირველესი უნდა იყოს, რა თქმა უნდა, განათლება, რადგან ყველაზე დიდი პრობლემა საქართველოში არის ტოტალური გაუნათლებლობა! ტოტალური გაუნათლებლობაა დღეს ახალგაზრდებში და არა მარტო ახალგაზრდებში!

ნუ ეწყინება ნურავის. შეხედეთ, როგორ მეტყველებენ თუნდაც პარლამენტში, როგორ წერენ ფეისბუქზე და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. როცა ტოტალური გაუნათლებლობაა, რატომ უნდა გაერთიანდეს განათლებისა და კულტურის სამინისტროები?!

მე, პირადად, კულტურის სამინისტროს გავანახევრებდი, შტატს გავანახევრებდი! არაფერში საჭირო არ არის, ამდენი ასეული ადამიანი რომ მუშაობს იქ. მაქსიმუმ 40-50 კაცს დავტოვებდი, ეფექტურს. კულტურის სამინისტროს სჭირდება სრული რესტრუქტურიზაცია, სრული რეორგანიზაცია.

*— მოვისმინეთ განცხადებები, რომ არც ერთი თანამშრომელი არ დაკარგავს სამსახურს. არ აწყობს დღეს ხელისუფლებას მათი მომდურება?*

— მე ამაზე კომენტარი არა მაქვს. რას ნიშნავს მომდურება?! 200 კაცზე მეტი მუშაობს კულტურის სამინისტროში. რას აკეთებენ, ერთი მითხარით! გამოსავალი არ არის სამინისტროების შერწყმა. ვიმეორებ, განათლების სამინისტრო აუცილებლად უნდა იყოს ცალკე და უნდა იყოს სრულიად პრიორიტეტული საქართველოში. სწორედ გაუნათლებლობისგან მოდის ის, რომ არსად არაფერი გამოდის.



*— „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში განათლების არაერთი მინისტრი შეიცვალა.*

— მე, მართალი რომ გითხრათ, არც ერთი არ მახსოვს, სრულიად კომიკური ჯეჯელავას გარდა. არ მახსოვს არც ერთი. არ ვიცი, ვინ არიან, რა არიან, არ ვიცი, რას წარმოადგენენ. არავის არაფერში ვედავები, მაგრამ ისეთი სისტემა დაამტკიცეს, რომელმაც კატასტროფული შედეგები მოიტანა. იმავე თეატრალურ ინსტიტუტში ასწავლის ხალხი, რომლებსაც მე ორ ბატს არ ვანდობდი! როდესაც მე და ჩემი თაობა ვსწავლობდით, ჩვენი დისერტაცია იყო ჩვენი დადგმული სპექტაკლები, ჩვენი შემოქმედება, გინდა მსახიობი ყოფილიყო და გინდა — რეჟისორი. დღეს კი არის ვიღაცის წიგნიდან გადმოწერილი დისერტაცია.

*— ძირეული ცვლილებებია საჭირო განათლების სისტემაში?*

— რა თქმა უნდა! და როგორ შეიძლება, ერთმა მინისტრმა მოუაროს ამ ამბავს?! გადით რეგიონებში, შედით ნებისმიერ სკოლაში და გამოჰკითხეთ, მე-11 კლასელები თუ არჩევენ ვაჟა-ფშაველას აკაკი წერეთლისგან. რომელი კულტურა? ეს ნიშნავს იმას, რომ კულტურას არანაირი ყურადღება არ დაეთმობა.

*— ანუ განათლების სამინისტროში არსებული პრობლემები მთლიანად ჩაყლაპავს კულტურის სამინისტროს პრობლემებს?*

— რა თქმა უნდა, ჩაყლაპავს, აბა, რას იზამს! თუ ახლა ყველაფერი ზედაპირული უნდა იყოს და დარჩეს ისე, როგორც არის, მაშინ დარჩება ისე, როგორც ახლაა.

# ციფრული ვალუტების ფასები გაიზარდა



ციფრული ვალუტების ბაზარზე დღეს მცირე გამოცოცხლებაა — ბიტკოინის ფასი 1 პროცენტზე მეტით გაიზარდა. ეს ზრდა უმნიშვნელოა და მის შემაფერხებელ ფაქტორად კომპანია „ალიბაბას“ დამფუძნებლისა და მფლობელის, ჯეკ მას განცხადებაა იმის შესახებ, რომ მისი აზრით, ბიტკოინი პოტენციური საპნის ბუშტია.

ბიტფაინექსის პლატფორმაზე, ბიტკოინის ფასი 6 244.1 დოლარამდე გაიზარდა, რაც წინა დღის მაჩვენებელზე 1.7 პროცენტით მეტია. კაპიტალიზაციის მხრივ, მეორე უდიდესი ვალუტის, ეთერიუმის ფასი 1.6 პროცენტით, 457.6 დოლარამდე გაიზარდა. შედარებით ნაკლები, 0.8-პროცენტიანი ზრდა ჰქონდა „რიპლის“XRP-ს, რომელიც 0.47894 დოლარამდე გაძვირდა. ყველაზე მეტად (2.6 პროცენტით) კი ლაიტკოინის

ფასმა მოიმატა, რომელმაც 81.73 დოლარს მიაღწია.

ჯეკ მა ბიტკოინთან დაკავშირებით კვლავ ფრთხილ პოზიციას ინარჩუნებს. ის თვლის, რომ ბიტკოინი შესაძლოა, საპნის ბუშტი იყოს, შესაბამისი პერსპექტივით. თუმცა მიაჩნია, რომ ბლოკჩეინის ტექნოლოგიას დიდი მომავალი აქვს.

— ბლოკჩეინის ტექნოლოგიას ჩვენი სამყაროს შეცვლა შეუძლია. იმაზე მეტადაც, ვიდრე ადამიანებს წარმოუდგენიათ. მაგრამ ბიტკოინი ალბათ საპნის ბუშტია, — ამბობს მა.

კვირას ბიტკოინის ფასი 5.787 დოლარამდე შემცირდა, რაც 2018 წელს უდაბლესი ფასია. არადა, ჯერ კიდევ დეკემბერში, ის 20.000 დოლარამდე იყო გაძვირებული. მას შემდეგ, ყველაზე პოპულარული ციფრული ვალუტის ფასი 70 პროცენტით არის შემცირებული.

გასული კვირის ბოლოს, ციფრული ვალუტების ფასების კლება, იაპონიის ფინანსური სერვისების სააგენტოს მიერ, ექვსი ადგილობრივი გამცვლელი პლატფორმის მიმართ, მკაცრი პირობების წაყენებამ გამოიწვია. გარდა ამისა, სამხრეთ კორეაში ბაზირებული „ბითუმბის“ პლატფორმიდან, ჰაკერებმა 31.5 მილიონი დოლარის ციფრული ვალუტები მოიპარეს.

ბიტკოინის ზრდის მიუხედავად, „ბლოკჩეინ კეპიტალის“ პარტნიორმა სპენსერ ბოგარტმა განაცხადა, რომ დიდი ალბათობით, ფასები კვლავ დაეცემა. ის ამბობს, რომ თუ გასული წლის ზაფხულს გავიხსენებთ, როცა ციფრული ვალუტების ფასებზე ბუმი იყო, ციფრულ ვალუტებზე მომუშავე ჰეჯ ფონდების რიცხვი და შესაბამისად შესყიდვებიც, სწრაფად იზრდებოდა. ამჟამად კი ბროკერების უმეტესობა ციფრული ვალუტების გაყიდვაზეა გადასული. ჰეჯ ფონდებიც თავიანთი ციფრული ვალუტების აქტივების მოშორებას ცდილობენ. ბოგარტს სწორედ ეს გარემოება აფიქრებინებს, რომ ეს ფასების ხელოვნურად დაგდებას გამოიწვევს.

ბპნ

# მამუკა ბახტაძემ მთავრობა შეამცირა




საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ სტრუქტურული ცვლილებები წარადგინა. როგორც ბახტაძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, სტრუქტურული ცვლილებების შედეგად დარჩება 10 სამინისტრო და 1 სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

მამუკა ბახტაძის მიერ დაანონსებული სტრუქტურული ცვლილებები ასეთია: კულტურისა და სპორტის სამინისტრო შეერწყმება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სასჯელაღსრულების სამინისტრო შეერწყმება იუსტიციის სამინისტროს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და განსახლების სამინისტრო უქმდება და მისი უწყებები გადანაწილდება სამ სხვადასხვა უწყებაზე: დევნილთათვის განსახლების მიმართულება გადავა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, მიგრაციის კომპონენტს შსს შეითავსებს, ხოლო სოციალური პოლიტიკა შეუერთდება ჯანდაცვის სამინისტროს. გარდა ამისა, რელიგიის სააგენტო შეუერთდება შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს, ეკონომიკის სამინისტროს სივრცითი განვითარების კომპონენტი კი გადავა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

სტრუქტურული რეფორმის განსახორციელებლად მთავრობა მიმართავს საქართველოს პარლამენტს შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივით, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, სადაც ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების ახალმა მეთაურმა მთავრობაში დაგეგმილი სტრუქტურული ცვლილებები წარადგინა.

მამუკა ბახტაძის თქმით, სტრუქტურული ოპტიმიზაციის კვალდაკვალ შემცირდება სამთავრობო ხარჯები.

— დარწმუნებული ვარ, ამ ცვლილებებით ჩვენ დასაბამს მივცემთ მცირე მთავრობის კონცეფციის განხორციელებას, რადგან სწორედ ასეთი მთავრობის ყოლა შედის დღეს ჩვენი ხალხის ინტერესებში. რასაკვირველია, სტრუქტურული ოპტიმიზაციის კვალდაკვალ შემცირდება სამთავრობო ხარჯები და ის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ეტაპობრივად ჩამოვა 3,9 პროცენტზე. ჩვენთვის სწორედ ეს ნიშნული — 3,9 პროცენტი იქნება ის მაქსიმუმი ზედა ჭერი, რითიც უნდა ვიხელმძღვანელოთ. ბიუროკრატიაზე დაზოგილი ხარჯები კი სხვადასხვა ინიციატივების სახით სახელმწიფო ბიუჯეტის წყაროს ანუ ისევ ჩვენს საზოგადოებას მოხმარდება.

ამ სტრუქტურული რეფორმის განსახორციელებლად მთავრობა მიმართავს საქართველოს პარლამენტს შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივით.

ესაა ჩვენი ხედვა და ეს ხედვა თანხვედრაშია ჩვენი საზოგადოების დაკვეთასთან, რომ ქვეყანას სჭირდება მცირე ბიუროკრატია. ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ვხარჯოთ იმაზე მეტი მმართველობაზე, ვიდრე დღეს არის საჭირო ჩვენი ქვეყნისთვის, იმ გამოწვევებისთვის, რაც დღეს არსებობს ჩვენი ეკონომიკის წინაშე.

დარწმუნებული ვარ, რომ მცირე მთავრობის კონცეფციის დანერგვის შემდეგ ჩვენ მივიღებთ სრულიად ახალ მოცემულობას, სადაც სამთავრობო უწყებები ორიენტირებული იქნებიან კონკრეტულ შედეგებზე და ამას თითოეული მოქალაქე იგრძნობს, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

# სოზარ სუბარი მინისტრი აღარ იქნება




ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი ახალ მთავრობაში მინისტრის პოსტს არ დაიკავებს. ამის შესახებ ჟურნალისტებს თავად სოზარ სუბარმა განუცხადა.

„ჩემს გეგმებთან დაკავშირებით მოგვიანებით გაიგებთ“, — განაცხადა სუბარმა.

კითხვაზე, ვიხილავთ თუ არა მას მინისტრთა კაბინეტში, სუბარი პასუხობს, რომ არა. ის ასევე უარყოფს ინფორმაციას, რომ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელდება.

# გია ბუღაძე: „განათლებისა და კულტურის სამინისტროების შეერთებას ძალიან ცუდი შედეგი ექნება“



— ხელისუფლებას განათლებული ადამიანები ხელს უშლიან. განათლების სამინისტროსა და კულტურისა და სპორტის სამინისტროების შეერთებას ძალიან ცუდი შედეგი ექნება, უარესს ვერ წარმოვიდგენთ. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მხატვარმა და პროფესორმა გია ბუღაძემ განუცხადა.

მისი თქმით, შეუძლებელია ორი დიდი და დამოუკიდებელი სფეროს შერწყმა.

— ძალიან ცუდი შედეგი ექნება, უარესს რომ ვერ წარმოვიდგენთ. ეს არის კიდევ ერთი ნიშანი იმისა, რომ ამ ხელისუფლებას არ აინტერესებს განათლება და კულტურა, პირიქით, ხელს უშლის. ამ ხელისუფლებას ხელს უშლიან განათლებული და კულტურული ადამიანები. როგორ შეიძლება ამ ორი საჭირო და უძვირფასესი სფეროს შერწყმა და ერთი სახურავის ქვეშ გაერთიანება? — შეუძლებელია. ორივე დამოუკიდებელია და დამოუკიდებლობა უნდა ჰქონდეს, — განაცხადა ბუღაძემ.

# ნუკრი ქანთარია: „კულტურისა და განათლების სამინისტროების გაერთიანებაზე პირადად მე პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ“

„ქართული ოცნების“ დეპუტატი ნუკრი ქანთარია კულტურის სამინისტროს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემადგენლობაში გაერთიანების გადაწყვეტილებას არ იზიარებს და, როგორც აცხადებს, აღნიშნულ ცვლილებებზე პირადად პასუხისმგებლობას ვერ აიღებს. როგორც ქანთარიამ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნა, ხელოვნების ნაწილი ცალკე სახელმწიფო დეპარტამენტის ან დამოუკიდებელი სააგენტოს სახით მაინც უნდა ჩამოყალიბებულიყო, რომელიც პირდაპირ პრემიერ-მინისტრს დაექვემდებარებოდა. ქანთარიას თქმით, მან კონსულტაციების დროს, პრემიერს აღნიშნული მოდელი შესთავაზა.

— შეიძლებოდა კულტურის სამინისტროდან განათლების სამინისტროს ფარგლებში სასწავლო-შემოქმედებითი დაწესებულებების, ასევე ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გადასვლა. ხელოვნების დარგების, რომელიც ეროვნული იდენტობის გამომხატველია და ასეთია: ქართული თეატრი, ქართული კინო, ქართული მუსიკა, ქართული ქორეოგრაფია — მათი ამ ოკეანეში ჩაკარგვა, რასაც განათლება ჰქვია, ვფიქრობ, რომ ძალიან გაჭირდება, — აღნიშნა ნუკრი ქანთარიამ.



# ვახტანგ მაისაია: „თურქეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართულებით საკმაოდ აგრესიული იქნება“

გულიკო ბალაძე

**ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ერდოღანმა, ფაქტობრივად, თურქეთში ხელისუფლება მთლიანად ჩაიგდო ხელში. ამიტომ მას ექნება სერიოზული გეოპოლიტიკური სვლები. ამ ფონზე ამერიკა-თურქეთის ურთიერთობები შეიძლება გაუარესდეს.**

– თურქეთს ევროპასთან, ევროკავშირთან შეზღუდული ურთიერთობა აქვს. ის შეეცდება იყოს არა მხოლოდ რეგიონალური ჰეგემონი ახლო აღმოსავლეთში, არამედ კავკასიის რეგიონში. ეს ფაქტია. ჩვენთან მიმართებაში მკაცრ პოლიტიკას მიმართავს. სტრატეგიული პარტნიორობა იმდენად დადგება დღის წესრიგში, თურქეთი დარჩება თუ არა ნატოში, – აცხადებს მაისაია.

***– ბატონო ვახტანგ, ჩვენს მეზობელ თურქეთში გარკვეული პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს – ჩატარდა რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. როგორც ირკვევა, 2028 წლამდე პრეზიდენტი ერდოღანი იქნება და თურქეთს ის განაგებს. რა გავლენა შეიძლება იქონიოს თურქეთში მიმდინარე პროცესებმა, ცვლილებებმა საქართველოზე?***

– თურქეთში ჩატარებულ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს დიდი და ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება. თურქეთში, ფაქტობრივად, იცვლება პოლიტიკური სისტემა. თურქეთი ხდება ძალიან მკაცრი საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყანა. საპრეზიდენტო მმართველობა შემოდის, როგორც არის ამერიკაში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში.

***– ამ სიტუაციაში ყველაზე მნიშვნელოვანი რა არის?***

– მმართველობის ამ სისტემაში პრეზიდენტს ენიჭება დიდი უფლებები როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკის მიმართულებით. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და სერიოზული რამ, რაც შეიძლება ითქვას.

***– ერდოღანი დიდი ხანია ცდილობს საპრეზიდენტო სისტემის შემოღებას და მიაღწია კიდეც.***

– შემთხვევით არ ცდილობდა ერდოღანი ამ სისტემის შემოღებას. მან 2019 წლისთვის დაგეგმილი არჩევნები შეგნებულად გადმოიტანა და ერთი წლით ადრე ჩაატარა. როგორც ჩანს, მას რიგი გრძელვადიანი გეოპოლიტიკური მიზნები და ამოცანები აქვს.

***– ამით ერდოღანი პოზიციებს იმყარებს?***

– დიახ. ერდოღანი არც მალავდა, რომ მან არჩევნები იმიტომ გადმოიტანა, ქვეყანაში თავისი პოზიციები გაემყარებინა. ფაქტობრივად, დაეწყო ახალი ტიპის რეგიონალური და გლობალური გეოპოლიტიკური თამაშები.

ერდოღანმა თავისი წინასაარჩევნო აგიტაცია პუტინის ქებასა და იმის მტკიცებაში გაატარა, რუსეთს პოლიტიკური სისტემა როგორ კარგად აქვს აწყობილი. რუსეთში არსებული პოლიტიკური სისტემის მხარდაჭერით, ერდოღანი ამართლებდა თავის გადაწყვეტილებას სუპერსაპრეზიდენტო მმართველობის შემოღების თაობაზე.

***– მისი პოლიტიკა რაზე გადის, დასავლეთთან დაპირისპირებაზე?***

– ერდოღანს ცალსახად ანტიდასავლური რიტორიკა ჰქონდა არჩეული. ახლა ერდოღანმა, ფაქტობრივად, ხელისუფლება მთლიანად ჩაიგდო ხელში. ამიტომ მას ექნება სერიოზული გეოპოლიტიკური სვლები ამ მიმართულებით.

***– ამ ფონზე ამერიკა-თურქეთის ურთიერთობებს როგორი განვითარება ელოდება?***

– ამ ფონზე ამერიკა-თურქეთის ურთიერთობები შეიძლება გაუარესდეს. თურქეთს ევროპასთან, ევროკავშირთან შეზღუდული ურთიერთობა აქვს. ის შეეცდება იყოს არა მხოლოდ რეგიონალური ჰეგემონი ახლო აღმოსავლეთში, არამედ კავკასიის რეგიონში.

***– თურქები არ ერიდებიან ე.წ. დიდი თურქეთის სავარაუდო რუკების დროდადრო გამოქვეყნებას. ახლახან ვრცელდებოდა სოციალურ ქსელში თურქეთში დამზადებული რუკა, სადაც ბათუმიც კი იყო შეყვანილი თურქეთის შემადგენლობაში. ამდენად, თურქეთს დიდი მადა აქვს. რას უნდა ველოდოთ? რა ქმედებები შეიძლება განხორციელდეს მის შესაკავებლად?***

– უნდა ველოდოთ თურქეთის საკმაოდ აგრესიულ პოლიტიკას საქართველოს მიმართულებით. თურქეთი, ალბათ, დაიწყებს რეგიონალური ჰეგემონობის გატარებას კავკასიაში. ეს ფაქტია. ჩვენთან მიმართებაში მკაცრ პოლიტიკას მიმართავს. თურქეთთან სტრატეგიული პარტნიორობა იმდენად დადგება დღის წესრიგში, თურქეთი დარჩება თუ არა ნატოში.

არაა გამორიცხული, რომ ამერიკა-თურქეთის, ნატო-თურქეთის, ევროკავშირ-თურქეთის, ნატოს წევრ ქვეყნებთან, გერმანიასთან, ბენელუქსის ქვეყნებთან, საფრანგეთთან გართულებული ურთიერთობების ფონზე თურქეთმა დაიწყოს ნატოსაგან დისტანცირების პროცესი. ეს გამოჩნდება უახლოეს პერიოდში, ნატოს სამიტზე ბრიუსელში. არა მგონია, ერდოღანსა და ტრამპს შორის შედგეს სასიამოვნო დიალოგი.

მეორეც – თურქეთი არ აპირებს უარი თქვას რუსულ შეიარაღებაზე – არ მარტო საჰაერო სარაკეტო კომპლექსებზე, არამედ სტრატეგიული დანიშნულების მეხუთე თაობის ბომბდამშენებსა და ავიაგამანადგურებლებზე. ეს ნიუანსებიც უნდა გავითვალისწინოთ.

***– რა იქნება თურქეთი ნატოს გარეშე?***

– თურქეთი როგორმე გაძლებს ნატოს გარეშე, მაგრამ ნატო როგორ იქნება თურქეთის გარეშე, საკითხავი ეს არის. დღეს თურქეთი არის მეორე ქვეყანა ნატოში შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის კუთხით. საკმაოდ დიდი გეოსტრატეგიული მდებარეობა გააჩნია თურქეთს ნატოს ევროატლანტიკურ სივრცეში. აქედან გამომდინარე, ეს არის სერიოზული გამოწვევა ნატოს არსებობის პერიოდში.



***– შეუძლია თურქეთს რუსეთისგან მიიღოს ის შეიარაღება, რასაც ნატოს ქვეყნებიდან, იგივე ამერიკიდან ღებულობს? მგონი, ახლახან გადასცეს შეიარაღება ამერიკელებმა თურქეთს.***

– ამერიკა აპირებს, გააუქმოს თურქეთთან სამხედრო თანამშრომლობა სტრატეგიული შეიარაღების განვითარების საქმეში, საუბარია მეხუთე თაობის მრავალფუნქციურ გამანადგურებლებზე. თურქეთის როლი დიდია იმაში, რომ შეიძლება შეუჩერონ სამხედრო შეიარაღების გადაცემა.

ამერიკამ თურქეთს საფინანსო დახმარებაც შეიძლება შეუჩეროს. რამდენიმე მილიარდზეა საუბარი.

***– ახლაც აძლევენ მილიარდებს?***

– რა თქმა უნდა.

***– ასე რუსეთსაც აძლევდნენ მილიარდებს.***

– რუსეთს მილიარდებს სხვა კონტექსტში აძლევდნენ.

***– თუ წარმოგიდგენიათ, რომ თურქეთი არ იყოს ნატოს წევრი და საქართველო გახდეს ამ ალიანსის წევრი? შეიძლება ასეთი გადათამაშება მოხდეს?***

– ეგ არ ვიცი, მაგრამ ამ ეტაპზე ნატოს გაფართოების საკითხი არ დგას. ნატო მუშაობს კოლექტიური თავდაცვის სისტემის გაძლიერებაზე. მგონი, ახალი წევრების მიღება არ იქნება. შეიძლება მოგვიანებით სამიტზე მიიღონ მაკედონია და ბოსნია-ჰერცოგოვინა. საქართველოს ნატოში მიღებაზე საუბარი არ არის.

***– თქვენ თქვით, რომ თურქეთი კავკასიის რეგიონშიც შეეცდება ჰეგემონობას. ხელისუფლებამ რაიმე პრევენციული ღონისძიებები უნდა გაატაროს, რომ ჩვენ არ მოვყვეთ თურქული ინტერესების დარტყმის ქვეშ?***

– ამაზე დეტალურად საუბარი მიჭირს. ეგ გამოჩნდება იმის მიხედვით, თურქეთი რა პოლიტიკას აირჩევს ჩვენ მიმართ. ეჭვი არ მეპარება, რომ თურქეთი ჩვენთან დაკავშირებით ხისტ პოლიტიკას მიმართავს, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

***– მოგეხსენებათ, არჩევნებში ბარიერი გადალახეს პროქურთულმა ძალებმა. ეს რაიმე გავლენას მოახდენს ერდოღანის პოლიტიკაზე?***

– ეს არის დემოკრატიული პარტია, რომელიც ქურთი მოსახლეობის ინტერესებს იცავს. ახლა მთავარია ერდოღანმა არ აიღოს საკონსტიტუციო უმრავლესობა. თუ ერდოღანს ეს გამოუვა, მით უარესი თურქეთისთვის.

თუ ერდოღანის პარტია საკონსტიტუციო უმრავლესობას აიღებს, ეს იქნება ძლიერი მმართველი ძალა და თურქეთი ავტორიტარული და ავტოკრატიული ტიპის სახელმწიფოდ გადაიქცევა.

***– ამ ყველაფრის სათავეში დგას ერდოღანის პიროვნება.***

– ერდოღანი არის ზომიერი ისლამისტი. მას აქვს თავისი პროგრამა მინიმუმი და პროგრამა მაქსიმუმი. მან თქვა, რომ მისი იდეაა, აღადგინოს ოსმალეთის იმპერიის მაგვარი გაერთიანება.

***– ქართული პოლიტიკური ელიტა თუ არის იმდენად ძლიერი, რომ მოსალოდნელ გამოწვევას თავი გაართვას?***

– ჩვენი პოლიტელიტა, კახურად რომ ვთქვათ, ალუბლის ხეზე ზის და ქლიავის კურკებს ისვრის ქვემოთ. ამ ეტაპზე ჩვენი პოლიტელიტა იმდენად შორს არის რეალპოლიტიკისაგან, როგორც ჩვენ არ შეგვიძლია მარსზე გაფრენა. არა მგონია დღევანდელ თინეიჯერების მთავრობას რაიმე გავლენა ჰქონდეს საგარეო პოლიტიკის შემუშავებაზე. სამწუხარო რეალობა ასეთია.

# სარეალიზაციო თესლის მწარმოებლებს პროდუქციის ეტიკეტირება მოუწევთ

მთავრობამ სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტირების წესი დაამტკიცა. როგორც მთავრობის 13 ივნისის დადგენილებაშია აღნიშნული, ამ



წესის შესრულება ყველა იმ ფიზიკური და იურიდიული პირისთვის არის სავალდებულო, რომლებიც სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის რეალიზაციის მიზნით წარმოებას ან/და რეალიზაციას ახორციელებენ.

ამასთან, დადგენილების თანახმად, რეალიზაციისთვის გამიზნული სერტიფიცირებული თესლისა და სარგავი მასალის პარტიები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა იქნეს ეტიკეტირებული და თესლისა და სარგავი მასალის სარეგისტრაციო დოკუმენტების მონაცემებს შეესაბამებოდეს; ეტიკეტზე გარკვევით უნდა იყოს მითითებული თესლისა და სარგავი მასალის წარმოშობისა და ხარისხის შესახებ ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ ეტიკეტზე ინფორმაცია დატანილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

– თესლისა და სარგავი მასალის ყოველი პარტია, რომელიც განკუთვნილია რეალიზაციისათვის, უნდა იყოს დაფასოებული ტარაში, რომელიც იქნება დალუქული. ტარას უნდა ჰქონდეს მიმაგრებული ეტიკეტი, რომელზეც დატანილი იქნება შესაბამისი ინფორმაცია სათესლე/სარგავი მასალის შესახებ. ასევე შესაძლებელია სარგავი მასალის (მრავალწლოვანი კულტურების) ცალობით რეალიზაცია, ამ წესის მოთხოვნების დაცვით.

საქართველოში თესლისა და სარგავი მასალის რეალიზაციისას მწარმოებელი/რეალიზატორი ვალდებულია, მომხმარებელს მიაწოდოს თესლისა და სარგავი მასალის შესახებ აუცილებელი და უტყუარი ინფორმაცია, კერძოდ: მწარმოებლის/რეალიზატორის დასახელება და მისამართი; კულტურის/კულტურათა ნარევების ქართული და ლათინური დასახელება; ჯიშის/ჰიბრიდის/მშობელი ფორმების/თესლის ნარევის სახელწოდება ან სინონიმი; პარტიის ნომერი; სერტიფიკატის ნომერი; თესლის/ნერგის კატეგორია; გასამრავლებელი მასალის სახე (თესლი, კალამი, კვირტი, ნერგი და ა. შ.); საძირის სახელწოდება და მყნობის წელი (ნერგის შემთხვევაში); თესლის აღმოცენების უნარი (%-ში); თესლის ანალიზური სიწმინდე (%-ში); თესლის 1000 მარცვლის მასა (გრ-ში); წონა ან/და მოცულობა ან/და რაოდენობა; თესლის პროცენტული შემადგენლობა (თესლის ნარევების შემთხვევაში); მოსავლის წელი; მწარმოებელი ქვეყანა; წარმოების თარიღი, შენახვის ვადა და პირობები (საჭიროების შემთხვევაში); ქიმიური ან ბიოლოგიური პრეპარატის სახელწოდება (მასალის დამუშავების შემთხვევაში); სერტიფიცირების ორგანოს სახელწოდება.

სხვადასხვა კატეგორიის სათესლე და სარგავი მასალის ეტიკეტის ფერი უნდა იყოს: წინასაბაზისო თესლის/სარგავი მასალის – თეთრი, დიაგონალზე იისფერი ზოლით; საბაზისო თესლის/სარგავი მასალის – თეთრი; სერტიფიცირებული თესლის I თაობა – ლურჯი; სერტიფიცირებული თესლის II თაობა – წითელი; სერტიფიცირებული კატეგორიის სარგავი მასალის – ლურჯი; თესლის ნარევების – ლურჯი, დიაგონალზე თეთრი ზოლით; სტანდარტული კატეგორიის სარგავი მასალის – ყვითელი, – აღნიშნულია დადგენილებაში.

როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, სერტიფიცირებული ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტირების წესის დარღვევისთვის ან/და მათი ეტიკეტის გარეშე რეალიზაციისთვის პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვრება. კერძოდ, სერტიფიცირებული ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტირების წესის დარღვევა ან/და მათი ეტიკეტის გარეშე რეალიზაცია - გამოიწვევს 200 ლარით; 1 წლის განმავლობაში განმეორების შემთხვევაში კი - 500 ლარით დაჯარიმებას.

ცნობისთვის, მთავრობის დადგენილება 2018 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდება.

BPN.GE

# ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე დავით ამაღლობელის კანდიდატურა განიხილება



მთავრობის სტრუქტურაში ცვლილებების შემდეგ, ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე დავით ამაღლობელის კანდიდატურა განიხილება. ამის შესახებ პირველი არხისთვის გახდა ცნობილი. დავით ამაღლობელი ბოლო ცხრა წელია, ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშაობს. ის საერთაშორისო სავალუტო ფონდში უფროსი ეკონომისტის პოზიციას იკავებს.

დავით ამაღლობელი 2007 წლის ნოემბრიდან 2009 წლის თებერვლის ჩათვლით საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი იყო.

დავით ამაღლობელი დაიბადა 1976 წელს. 1998 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სპეციალობით, 2001 წელს კი – ორეგონის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ) ეკონომიკის ფაკულტეტი. არის ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრი.

1998 წელს დავით ამაღლობელი დაინიშნა საქართველოს პარლამენტში ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტში უფროს სპეციალისტად, 1999-2001 წლებში, აშშ-ში სწავლის პარალელურად, იგი ორეგონის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორის ასისტენტად მუშაობდა.

2001 წლიდან დავით ამაღლობელმა სამსახურებრივი კარიერა საქართველოში განაგრძო და მუშაობა საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში, სამმართველოს უფროსად დაიწყო. 2002-2003 წლებში მუშაობდა სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის მონეტარული და ფისკალური საკითხების ქვეკომისიაში, ეროვნულ ექსპერტად.

2004 წლის იანვრიდან დავით ამაღლობელი მუშაობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქართველოს წარმომადგენლობაში, ფისკალურ ექსპერტად, იმავე წელს კი საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.

2005 წლის მარტიდან 2009 წლის ნოემბრამდე დავით ამაღლობელი იკავებდა საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის პოსტს, 2007 წლის ნოემბრიდან 2009 წლის თებერვლამდე იგი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა.

**1TV.GE**

# რა ანაზღაურება აქვთ „საქართველოს ბანკის“ მმართველ პირებს



სააქციო საზოგადოება „ბიჯეო ჯგუფმა“, რომელიც სს „საქართველოს ბანკის“ ჩვეულებრივი აქციებისა და, შესაბამისად, ხმების 75%-ზე მეტს ფლობს, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და კომიტეტის წევრების ანაზღაურების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. როგორც განცხადებაში ვკითხულობთ, მიმდინარე წლის 21 მაისიდან „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წლიური ანაზღაურება (გადასახადების დაქვითვამდე) შემდეგნაირად განისაზღვრება:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე – 210.313 აშშ დოლარი; თავმჯდომარის მოადგილე – 97.820 აშშ დოლარი და საბჭოს წევრი – 73,365 აშშ დოლარი.

რაც შეეხება კომიტეტების წევრებს, 21 მაისიდან მათი დამატებითი წლიური ანაზღაურება (გადასახადების დაქვითვამდე) ასეთი იქნება:

აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე – 17,520 აშშ დოლარი;

აუდიტის კომიტეტის წევრი – 12.848 აშშ დოლარი;

რისკის კომიტეტის თავმჯდომარე – 17.333 აშშ დოლარი;

ამავე კომიტეტის წევრის კი – 8.760 აშშ დოლარი; 12.848 აშშ დოლარი იქნება ანაზღაურების კომიტეტის თავმჯდომარის ანაზღაურება, ხოლო ამავე კომიტეტის წევრისთვის – 8.760 აშშ დოლარი.

**ბპნ**

# დასახლების საკანალიზაციო სისტემაში ნარჩენების ჩაყრა დასჯადი ხდება



პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო წინადადებების თანახმად, „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები შედის. კანონპროექტის ავტორები პარლამენტის წევრები: კახაბერ კუჭავა, ზაზა ხუციშვილი, ენძელა მაჭავარიანი, სულხან მახათაძე და კობა ლურსმანაშვილი არიან.

როგორც პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, კანონპროექტის მიღების მიზეზია, დასახლების წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ფიზიკური ან იურიდიული პირების, მათ შორის, სამრეწველო-საყოფაცხოვრებო ობიექტების, მეცხოველეობის ფერმების, აგროსამრეწველო კომპლექსებისა და სხვა ობიექტების მფლობელთა მიერ ჩამდინარე წყლების უკონტროლო და ნორმების შეუსაბამო ჩაშვების რეგულირება და წყალარინების სისტემაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნარჩენების ჩაყრის აკრძალვა.

– კანონპროექტის ფარგლებში განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მიღება, რომელიც ადგენს დასახლების წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ჩამდინარე წყლების ჩაშვების/მიღების პროცედურას და კონტროლის მექანიზმებს. განსაზღვრავს წყალარინების სისტემაში ჩაშვებული ნივთიერებების დასაშვებ კონცენტრაციებს. რეგლამენტი დაარეგულირებს ურთიერთობებს სისტემის ოპერატორებსა და სისტემის მომხმარებლებს შორის, რომლებიც ახორციელებენ სისტემაში ჩამდინარე წყლების ჩაშვებას. ასევე, განსაზღვრავს სისტემაში დაუშვებელი კონცენტრაციის ნივთიერებებით დაბინძურებული წყლების ჩაშვებისას და სისტემაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნარჩენების ჩაყრისას, სისტემის ოპერატორისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესს, – აღნიშნულია განმარტებით ბარათში.

სამინისტრომ 2018 წლის 15 ივლისამდე უნდა შეიმუშაოს და მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს ტექნიკური რეგლამენტი „წყალარინების ცენტრალიზებულ სისტემაში ჩამდინარე წყლის ჩაშვებისა და მიღების პირობების და დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების შესახებ“.

აღსანიშნავია, რომ ცვლილებების შეტანა იგეგმება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც. კერძოდ, ცვლილებების მიხედვით, წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ნარჩენების ჩაყრა, აგრეთვე, ტექნიკური რეგლამენტის პირობების შეუსაბამო ჩამდინარე წყლის ჩაშვება – ფიზიკური პირის 400 ლარით და იურიდიული პირის 1.000 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს. ქმედების განმეორების შემთხვევაში კი ჯარიმა ორმაგდება და ფიზიკური პირი – 800; იურიდიული პირი კი – 2.000 ლარით დაჯარიმდება.

**ბპნ**

# „ხარჯების შემცირება პოზიტივია, თუმცა, არსებითად მნიშვნელოვანია, რამდენად სწორია მისი მიზანშეწონილობა“



პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მცირე მთავრობის კონცეფცია წარმოადგინა, რომელიც 14-დან 10 სამინისტრომდე შემცირებას გულისხმობს. იქმნება ერთი სახელმწიფო მინისტრის აპარატიც. პრემიერის განცხადებით, სტრუქტურული ოპტიმიზაციის კვალდაკვალ ასევე შემცირდება სამთავრობო ხარჯებიც და საბოლოოდ ის 3.9 ნიშნულზე ჩამოვა. ბახტაძის განცხადებით, დაზოგილი სახსრები საზოგადოებას და იმ პრობლემების მოგვარებას მოხმარდება, რომელიც დღის წესრიგში დგას.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, როგორც აფასებენ მცირე მთავრობის კონცეფციას ექსპერტულ წრეებში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რამდენად საკმარისი იქნება ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რაც ქვეყანაშია. საუბარია, ძირითადად, სოციალურ და ინფრასტრუქტურულ მიმართულებებზე.

ბიზნესსამართლის სპეციალისტი აკაკი ჩარგეიშვილი აცხადებს, რომელ კონკრეტულ მუხლებში მოხდება შემცირება და რომელ ადმინისტრაციულ ხარჯებს შეეხება, ამ დროისთვის უცნობია. შესაბამისად, ამაზე მსჯელობა მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როდესაც იურიდიული დოკუმენტაცია იარსებებს.

მისი შეფასებით, სავარაუდოდ, ხვალ საქართველოს პარლამენტს უნდა წარედგინოს აღმასრულებელი მთავრობის სტრუქტურის და ცვლილებების შესახებ კანონპროექტები. საუბარია განმარტებით ბარათზე, სადაც დასაბუთებული და ახსნილი იქნება ციფრობრივად, რა დანახარჯებთან გვაქვს საქმე, რა იყო აქამდე და ამ კანონის მიღების მიზანშეწონილობა რა ხარჯების შემცირებას გულისხმობს.

– ვფიქრობ, ძალიან საინტერესო იქნება თავად ამ განმარტებით ბარათებში ნახვა, რადგან პრემიერის განცხადება მხოლოდ ინფორმაციულად გავრცელდა. რეალობაში ეს როგორ იქნება, ბიუჯეტის რომელ კონკრეტულ მუხლებში მოხდება შემცირება და რომელ ადმინისტრაციულ ხარჯებს შეეხება, ამ დროისთვის უცნობია. ჩაშლილად ეს ნანახი არ გვაქვს. ამიტომ, ის შეკითხვა, რასაც თქვენ სვამთ, ჩემთვისაც საინტერესოა, ვნახო, რომელი ფუნქციონალური ნაწილი განიცდის ხარჯების შემცირებას. უკვე ამის შემდეგ შეიძლება მსჯელობა, – აცხადებს ჩარგეიშვილი.

მისი განცხადებით, ხარჯების შემცირება პოზიტივია, თუმცა, ამ პოზიტივში არსებითად მნიშვნელოვანია, რამდენად აუცილებლობაა, საჭიროებაა და რამდენად სწორია ხარჯების შემცირების მიზანშეწონილობა.

**კომერსანტი**

# საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელების გადაწყვეტილებების მომზადების პროცესი არ არის საკმარისად გამჭვირვალე




– აუდიტის სამსახურმა ვერ მოიპოვა დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა ხუთწლიანი პროგრამისა და წლიური გეგმის განახლების პროცესში უმაღლესი ხელმძღვანელობის ჩართულობას, – აღნიშნულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის დამოუკიდებელი ეფექტიანობის აუდიტის ჩატარებას ეხება.

როგორც ოფიციალურ დოკუმენტში საავტომობილო გზების დეპარტამენტი განმარტავს, ხელმძღვანელობის უმაღლესი პირები მონაწილეობენ მომზადების პროცესში, თუმცა მათი გადაწყვეტილებები არ არის დოკუმენტირებული.

– შედეგად, მომზადების პროცესი არ არის საკმარისად გამჭვირვალე. გარდა ამისა, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოახერხა ხუთწლიანი პროგრამისა და წლიური გეგმის მთავარი პრიორიტეტების, კრიტერიუმებისა და ცვლილებების შესახებ ხელმძღვანელობის ინფორმირებულობაზე დაკვირვება და შეფასება, – ნათქვამია აუდიტის დასკვნაში.

აუდიტი დაიწყო 2018 წლის იანვარში და მოიცავს 06.07.2016 – 31.12.2017 პერიოდს. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, აუდიტის სამსახურს არ გამოუვლენია საავტომობილო გზების დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რაიმე სახის ნაკლოვანებები ან დარღვევები.

ხუთწლიანი პროგრამის/წლიური გეგმის მნიშვნელობისა და მათში შეტანილი ცვლილებების პროცესის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, აუდიტის სამსახური გასცემს რეკომენდაციას, რომ ორივე დოკუმენტი და შემდგომი ცვლილებები ფორმალურად დამტკიცდეს საავტომობილო გზების დეპარტამენტის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ.

ხარისხის ფასთან საუკეთესო ფარდობის მაჩვენებლის უზრუნველსაყოფად, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა წინასწარ უნდა განსაზღვროს გზების გაუმჯობესებისა და შენარჩუნებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების მოსალოდნელი შედეგები. აუდიტის ჯგუფმა განიხილა სხვადასხვა ქვეყნის გზების აქტივების მენეჯმენტთან დაკავშირებული კვლევები, რომლის თანახმად, გზების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადა არის ძირითადი მაჩვენებელი დროის მოცემული პერიოდისთვის სამუშაოების ტიპიდან საუკეთესო ვარიანტის (მოვლა-შენახვა, პერიოდული მოვლა-შენახვა, რეაბილიტაცია) გამოსავლენად. ყველაზე შესაფერისი სამუშაოების ტიპის შერჩევა უზრუნველყოფს ხარისხის ფასთან ფარდობის საუკეთესო მაჩვენებელს.

გზების სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავებულია და დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის: შესრულებული სამუშაოების ტიპი, საავტომობილო ნაკადის ინტენსივობა და ადგილობრივი კლიმატი.

აუდიტის სამსახურმა გამოავლინა ისიც, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წლიური გეგმის შემუშავების პროცესში, არ ხდება შიდასახელმწიფოებრივი გზების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. შედეგად, საავტომობილო გზების დეპარტამენტს არ აქვს შესაძლებლობა დაასაბუთოს, ირჩევს თუ არა საუკეთესო ვარიანტს მოვლა-შენახვის, პერიოდული მოვლა-შენახვისა და სარეაბილიტაციო სამუშაოებს შორის.

– შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, სასურველია საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს გზების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას სამუშაოების ტიპის მიხედვით. შეფასების გაკეთება შესაძლებელია წარსული გამოცდილების, სამუშაოების ტიპის, წლის საშუალო დღიური ნაკადისა და რეგიონული კლიმატის საფუძველზე. აუცილებელია სხვადასხვა სამუშაოს (მოვლა-შენახვა, პერიოდული მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია) მოსალოდნელი შედეგების ურთიერთშედარება, შემდგომში – მათგან ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის შესარჩევად, – აღნიშნულია დასკვნაში.

# მაია ცქიტიშვილი მთავრობაში კადრების ოპტიმიზაციას არ გამორიცხავს



როგორც საქართველოს რეგიონალური და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა სპეციალურ ბრიფინგზე ჟურნალისტებს განუცხადა, მცირე მთავრობის კონცეფცია და ზოგადად მიმდინარე პროცესები თავისთავად გულისხმობს მართვის სისტემის ოპტიმიზაციას და არა თანამშრომელთა შემცირებას, თუმცა საუბრის ბოლოს მან განმარტა, რომ პროცესების პარალელურად თავისთავად სისტემას არ დასჭირდება იმ რაოდენობის თანამშრომელი, რამდენიც დღეს ჰყავს.

– მცირე მთავრობის კონცეფცია პირველ რიგში ემსახურება მართვის ოპტიმალური სისტემის შექმნას და არა ხალხის შემცირებას. სახელმწიფო იღებს გადაწყვეტილებას, რომ ბიუროკრატიის ხარჯები შემცირდეს და ის იყოს 3.9 %-იან ნიშნულზე. ამასთან დაანონსებულია როგორც პოლიციელთა, ასევე მეხანძრე-მაშველთა ხელფასების ზრდაც. მასწავლებლების ხელფასების ზრდაც მიმდინარეობს ეტაპობრივად, ამ ყველაფრის ფონზე კი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ბიუროკრატიული ხარჯების შემცირება. ჩვენ მიზნად დავისახეთ ელექტრონული სერვისების მაქსიმალური განვითარებაც და ზოგადად სამთავრობო სერვისების ოპტიმიზაცია. საბოლოოდ, შესაძლოა, ამ ყველაფერს ნაკლები ხალხი დასჭირდეს, თუმცა ეს პროცესი მიმდინარეობს ეტაპობრივად და, შესაბამისად, ეს არის ჩვენი გადაწყვეტილება, – განმარტავს მაია ცქიტიშვილი.

**კომერსანტი**

# ზვიად ფხაკაძე: „ზაზა სარალიძისგან მუქარის ტექსტები მივიღე“

## ზაზა სარალიძე: „ზვიად ფხაკაძეს არ დავმუქრებივარ, ვაგინე“

– გუშინ, როდესაც კომისიას ახსნა-განმარტებას ვაძლევდი, ჩემს მობილურ ტელეფონზე შემოვიდა მუქარის შემცველი ტექსტები.

ამის შესახებ ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმის შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის სხდომაზე საქმის პროკურორმა ზვიად ფხაკაძემ განაცხადა.

მისი თქმით, „მუქარა აშკარად ზაზა სარალიძის მიერ ხდებოდა“.

პროკურორის განმარტებით, მას აქვს სურვილი, რომ კომისიის წევრებს აღნიშნულის შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია, თუმცა ეს უნდა მოხდეს დახურულ სხდომაზე.

– კომისიას როდესაც ვაძლევდი გუშინ ახსნა-განმარტებას, ჩემს მობილურ ტელეფონზე შემოვიდა მუქარის შემცველი ტექსტები, რაც უკავშირდებოდა აშკარად ჩემს საპროკურორო საქმიანობას და ასევე კავშირში იყო იმ ახსნა-განმარტების შინაარსთან, რომელსაც მე კომისიას ვაძლევდი. აღნიშნულთან დაკავშირებით მე მივმართე შესაბამისი მოხსენებითი ბარათით კომპეტენტურ პირს და მოხდება სათანადო რეაგირება.



რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, თუ კომისიის წევრები დაინტერესდებიან, მე ვაჩვენებ ჩემს ტელეფონში არსებულ ტექსტებს, ოღონდ ეს უნდა მოხდეს დახურულ სხდომაზე, – განაცხადა ზვიად ფხაკაძემ.

ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომა გუშინ, 26 ივნისს, კვლავ კახა სირაძისა და ზვიად ფხაკაძის მოსმენით განახლდა.

❖ ❖ ❖

– პროკურორ ზვიად ფხაკაძეს არ დავმუქრებივარ, ვაგინე, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ხორავას ქუჩაზე მოკლული დავით სარალიძის მამამ, ზაზა სარალიძემ, განუცხადა.

სარალიძე ადასტურებს, რომ ზვიად ფხაკაძეს 25 ივნისს ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა მაშინ, როცა პარლამენტში შექმნილი საგამოძიებო კომისიის სხდომაზე პროკურორს უსმენდნენ.

ხორავას ქუჩაძე მოკლული დავით სარალიძის მამის განმარტებით, მან შეამჩნია, რომ პროკურორი მ.კ-ს ხელს აფარებდა, რამაც მისი გაღიზიანება გამოიწვია.

– ისევ კალანდიასთვის ხელის დაფარება რომ დაიწყო, მივწერე, კიდევ კალანდიას აფარებ ხელს-მეთქი?! სად არის ჩემი შვილის მკვლელი-



მეთქი და შევაგინე. თუ უნდა, გაასაჯაროვოს, რაც მივწერე. რას მაგინებინებს თავს. რომ ამბობს, კომისიის დახურულ სხდომაზე გავასაჯაროვებო, რისი ეშინია?! გაასაჯაროვოს, მე არაფრის მრცხვენია. მე მაგას არ დავმუქრებივარ, უბრალოდ ვაგინე, – განაცხადა ზაზა სარალიძემ.

# მარიამ კუბლაშვილი ჩატაევ–მაჩალიკაშვილის კავშირების დამადასტურებელ ახალ მასალებს არ ენდობა

თემირლან მაჩალიკაშვილისა და აჰმედ ჩატაევის კავშირს ოჯახის ადვოკატი მარიამ კუბლაშვილი ისევ უარყოფს.

დაცვის მხარის თქმით, ახალი ჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ, საქმესთან დაკავშირებით უფრო მეტი შეკითხვა ჩნდება, ვინაიდან მათთვის გაუგებარია, ვინ და როგორ დაადგინა, თუ რა ნომერი ჰქონდა აჰმედ ჩატაევს.

დაცვის მხარის წევრების მტკიცებით, ამ დრომდე საქმეში არ არსებობს ინფორმაცია ჩატაევის მობილური ნომრის შესახებ.

ამასთან, ადვოკატებს ვარაუდიც აქვთ, რომლის მიხედვითაც, მას შემდეგ, რაც ამერიკელმა ექსპერტებმა თემირლან მაჩალიკაშვილის მობილური ტელეფონის მონაცემები შეისწავლეს, მასში ერთ-ერთი უცხო ნომერი აღმოჩნდა.

ადვოკატების ვარაუდით, სუსმა და პროკურატურამ მოგვიანებით ეს ნომერი აჰმედ ჩატაევს დაუკავშირეს. ამასთანავე, ადვოკატები ამბობენ, რომ ძალოვნებმა ეს ვერსია ერთ-ერთი ცრუ მოწმის ჩვენებით გაამყარეს, რომელმაც სასამართლო დარბაზში (დაკავებიდან რამდენიმე თვის შემდეგ) თქვა, რომ მას ახსოვდა, თითქოს ჩატაევის ნომერი მთავრდებოდა რიცხვით „20“.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ადვოკატები ახალ გარემოებებსა და მონაცემებს უნდობლობას უცხადებენ.

რაც შეეხება ბინას, რომელშიც თემირლან მაჩალიკაშვილი რამდენიმე ადამიანთან ერთად ცხოვრობდა, რომელთაგან ორი მოგვიანებით ტერორიზმის საქმეში ბრალდებული აღმოჩნდა.



ადვოკატი მარიამ კუბლაშვილი ადასტურებს, რომ თემირლან მაჩალიკაშვილი ნამდვილად ცხოვრობდა ვარკეთილში ნაქირავებ ბინაში ამ ადამიანებთან ერთად, თუმცა მარიამ კუბლაშვილი ასევე ამტკიცებს, რომ თემირლან მაჩალიკაშვილმა არ იცოდა მათი ტერორისტული საქმიანობის შესახებ.

ახალ გარემოებებთან დაკავშირებით, კავკასიოლოგი მამუკა არეშიძე აცხადებს, რომ სულ მცირე აღარ უნდა არსებობდეს შეკითხვები იმასთან დაკავშირებით, რომ თემირლან მაჩალიკაშვილს ჰქონდა ინფორმაცია ამ ადამიანების ტერორისტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ.

თავად მაჩალიკაშვილის მამას მალხაზ მაჩალიკაშვილს მიაჩნია, რომ ხელისუფლება ამ მასალებით „ახალ ჭორებს ავრცელებს“.

# სუფრასთან დაწყებული დაპირისპირება მკვლელობით დასრულდა

## დაკავებულია ერთი პირი



შინაგან საქმეთა სამინისტრომ თეთრიწყაროში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თეთრიწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1956 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ი.ვ., განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 25 ივნისს, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ივანოვკაში მცხოვრები ბრალდებული იმყოფებოდა სტუმრად თანასოფლელ, 1940 წელს დაბადებულ პ.ც.-სთან, რომელთანაც სიტყვიერი დაპირისპირება მოუვიდა.

არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ი.ვ.-მ მასპინძელს სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ ი.ვ. მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავა. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

# სასამართლომ დემურ სტურუას საქმეზე ბრალდებული ყოფილი პოლიციელი, გოდერძი თევზაძე, უდანაშაულოდ ცნო

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დემურ სტურუას საქმეზე ბრალდებული ყოფილი პოლიციელი, გოდერძი თევზაძე, უდანაშაულოდ ცნო.

საქმის პროკურორის თქმით, გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდება.

2016 8 აგვისტოს სოფელ დაფნარში 22 წლის დემურ სტურუამ, სავარაუდოდ პოლიციის მხრიდან ზეწოლას ვერ გაუძლო და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ახალგაზრდამ სუიციდამდე წერილი დაწერა, სადაც საკუთარი გადაწყვეტილების მიზეზები განმარტა. როგორც სტურუა, სუიციდამდე რამდენიმე წუთით ადრე დაწერილ წერილში წერს, მას სამტრედიის ერთ-ერთი პოლიციელი, სამართალდამცავებთან თანამშრომლობას აიძულებდა.

დემურ სტურუა წერილში წერდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ის პოლიციელ გოდერძი თევზაძის მოთხოვნებს არ შეასრულებდა, მას მოკლავდნენ.

გარდა ამისა, სტურუა მის მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაზეც საუბრობდა.

სამტრედიის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი გოდერძი თევზაძე თავდაპირველად მიიმალა, თუმცა მოგვიანებით პოლიციას თავად ჩაჰბარდა.

გამოძიება მას სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებასა და პირის თვითმკვლელობამდე მიყვანას ედავებოდა.



# მძღოლს, რომელიც საჭეს მთვრალი მართავდა და ფეხით მოსიარულე შეიწირა, 6 წლით პატიმრობა შეეფარდა

მსუბუქი ავტომანქანის მძღოლს, რომელიც საჭეს ნასვამ მდგომარეობაში მართავდა და ფეხით მოსიარულის სიცოცხლე შეიწირა, 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

2018 წლის 25 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა მძღოლის მიმართ, რომელიც სატრანსპორტო საშუალებას მართავდა მთვრალ მდგომარეობაში, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.



საქმე ეხება 2016 წლის 6 ნოემბერს ქ.თბილისში, ჯავახეთის ქუჩაზე მომხდარ შემთხვევას, როდესაც ბრალდებულმა ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა შეასრულა არასწორი მანევრი და ავტომანქანა „ჰონდა ფიტით“ შეეჯახა ქვეითად მოსიარულე რ.ტ.-ს. დაზარალებული ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიღებული ჯანმრთელობის დაზიანებებით გარდაიცვალა.

საქმის არსებითად განხილვისას, ბრალდებულმა სრულად აღიარა და მოინანია მის მიერ ჩადენილი დანაშაული. ღია სხდომებზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა შეფასებით, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ბრალდებულის მხრიდან ნასვამ მდგომარეობაში ჩადენილი ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტი.

სასამართლომ ბრალდებულის აღიარებით ჩვენებასთან ერთად, მხედველობაში მიიღო მოწმეთა ჩვენებები, შემთხვევის ადგილისა და ვიდეოფირის დათვალიერების ოქმები, სამედიცინო დოკუმენტაცია, ნივთიერი მტკიცებულებები, ალკოჰოლური თრობის დასკვნა და საქმეში არსებულ მასალათა შეჯამების შედეგად სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა.

ბრალდებულს სასჯელის სახედ განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 1 წლის ვადით ჩამოერთვა ავტომანქანის მართვის უფლება.

შ.ჯ. საქმეზე განაჩენის გამოცხადების შემდეგ, სასამართლო სხდომის დარბაზში დააკავეს.

# ტყვიავთან მომხდარ ავარიას შუახნის მამაკაცი ემსხვერპლა

ავარია მოხდა გუშინ გორის მუნიციპალიტეტში.

სოფელ ტყვიავთან „ოპელის“ მარკის ავტომობილი ხეს შეეჯახა. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, შუახნის მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც შსს პრესსამსახურში აცხადებენ, მომხდარზე გამოძიება 276 მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

# ისანში ორი უცხოელი ცემეს

კაჩინსკის ქუჩაზე ორ უცხოელსა და საქართველოს რამდენიმე მოქალაქეს შორის დაპირისპირება მოხდა. მომხდარი კონფლიქტის შედეგად დაშავდნენ უცხოელები. ერთი მათგანი დაზიანებებით გვიან ღამით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მეორე დაზარალებულმა ტვ პირველთან საუბრისას თქვა, რომ თავდამსხმელები ოთხნი იყვნენ. ერთმა თავდამსხმელმა მას ქვაც ესროლა. დაზარალებული ყვება, რომ საუდის არაბეთის მოქალაქეა და საქართველოში უკვე ერთი წელია, ცხოვრობს, მისი მეგობარი კი – 6 წელი.

წინასწარი ინფორმაციით, ერთ-ერთი სავარაუდო თავდამსხმელი დაკავებულია. პოლიციაში თვითმხილველებისგან ჩვენებები მიიღეს.

# ჯონ ბოლტონი მოსკოვში 27 ივნისს ჩავა



აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ჯონ ბოლტონი ევროპაში ტურნეს იწყებს. ის ჩავა რომში და პარიზში, 27 ივნისს კი მოსკოვს ესტუმრება.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა პომპეომ განაცხადა, რომ ბოლტონის ამოცანა ტრამპ-პუტინის შეხვედრის მომზადებაა. როდის ან სად შედგება რუსეთ-აშშ-ის პრეზიდენტების შეხვედრა, ჯერჯერობით უცნობია.

# სომხეთში სარგსიანის ძმები დაიჭირეს



სომხეთის ხელისუფლება ექსპრეზიდენტ სარგსიანის ნათესავებს დაერია. პოლიციამ ყოფილი პრეზიდენტის ძმა ალექსანდრე დააკავა. რესპუბლიკაში მას შინაურულად საშიკს უწოდებდნენ. ის ბიზნესმენებისგან მფარველობისთვის მოგებიდან 30%-ს მოითხოვდა. ბიზნესმენების უმრავლესობაც იძულებული იყო, რესპუბლიკა დაეტოვებინა.

დაკავებულია სარგსიანის მეორე ძმა ლევონიც. მას დიდი რაოდენობით სახელმწიფო ქონების მითვისება და კორუფციულ სქემებში მონაწილეობა ედება ბრალად.

სომხეთში კორუფციასთან ბრძოლამ არნახული მასშტაბები მიიღო.

# ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის სამხედროები კავშირის აღდგენაზე შეთანხმდნენ



ქალაქ კონჯუში ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის სამხედროთა დელეგაციების შეხვედრა შედგა. მიღწეულ იქნა შეთანხმება ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის სამხედროებს შორის კავშირის აღდგენის შესახებ. მიზანი საზღვარზე შესაძლო ინციდენტების ალკვეთაა.

– აღნიშნული შეხვედრა მართლაც ისტორიულია, – წერს გაზეთი „დენი“.

# ვიეტნამში წყალდიდობისა და მეწყრის შედეგად 17 ადამიანი დაიღუპა

ვიეტნამში წყალდიდობისა და მეწყრის შედეგად სულ მცირე 17 ადამიანი დაიღუპა და 11 უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

ამის შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

როგორც ვიეტნამის სტიქიური უბედურების კომიტეტი აცხადებს, 700-მდე მაშველი ადგილობრივი მოსახლეობის ევაკუირებას ახორციელებს და ასევე მიმდინარეობს უგზო-უკვლოდ დაკარგულების ძებნის ოპერაცია.

წინასწარი შეფასებებით, წყალდიდობისა და მეწყერის შედეგად მიყენებული ზარალი 2,3 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ გასული წლის განმავლობაში ტროპიკული წვიმებისა და მეწყრის შედეგად ვიეტნამში 390 ადამიანი დაიღუპა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ტრამპმა იორდანიის მეფე მიიღო



ვაშინგტონში იორდანიის მეფე აბდალა მეორე ჩავიდა. ის ტრამპმა მიიღო.

საუბრის ძირითადი თემა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა იყო. მხარეებმა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის, აგრეთვე რეგიონში ირანის მომძლავრების საკითხები განიხილეს. როგორც ტრამპმა, ასევე იორდანიის მეფემ შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ ირანმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი როგორც სირიაში, ასევე ლიბანში.

– ირანი სერიოზულ პრობლემად გადაიქცა. მის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებაა აუცილებელი, – თქვა ტრამპმა.

# სირია ისრაელს ბრალს სდებს



სირიის დიქტატორ ბაშარ ასადის არმია ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შეტევას განაგრძობს. რუსული ავიაცია სირიის იმ ქალაქებს ბომბავს, რომელთაც პარტიზანები აკონტროლებენ.

რუსეთის ხელისუფლება ამას უარყოფს.

– ჩვენ შეტევაზე არ გადავსულვართ. რუსული არმია სირიელი მებრძოლების შეტევებს იგერიებს, – აცხადებს რუსეთის თავდაცვის მინისტრი შოიგუ.

თანახმად სირიის რადიოს ცნობისა, ისრაელმა სირიის ტერიტორია დაბომბა. სირიის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ რაკეტები დედაქალაქ დამასკოში, საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე ჩამოვარდა.

– ეს სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია! ვიტოვებთ უფლებას, რომ მტერს ადეკვატური პასუხი გავცეთ, – განაცხადა პრეზიდენტმა ასადმა.

# მაიკ პომპეო მოლდოვის პრემიერს შეხვდა



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ მოლდოვის პრემიერი პავლე ფილიპი მიიღო. შეხვედრა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში შედგა.

საუბრის ძირითადი თემა აშშ-მოლდოვას ურთიერთობები იყო. ფილიპმა შენიშნა, რომ მოლდოვის მთავრობა და პარლამენტი პროდასავლური ორიენტაციისაა. დასავლური კურსის სრულფასოვან განხორციელებას კი ხელს პრორუსული ორიენტაციის პრეზიდენტი დოდონი უშლის.

– მიუხედავად ამისა, ჩვენ პროდასავლური კურსის ერთგულნი ვრჩებით, – თქვა ფილიპმა.

მოლდოვის მოსახლეობის 45% პროდასავლური ორიენტაციისა, 40% ევრაზიულ კავშირში შესვლას უჭერს მხარს. დანარჩენს ეს საკითხი არ აინტერესებს.

კიშინიოვში პროდასავლური განწყობილებები დომინირებს, სოფლებში – პრორუსული.

# მაკრონის რეიტინგი ისტორიულ მინიმუმამდე დაეცა



საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის პოპულარობის რეიტინგმა ისტორიულ მინიმუმს მიაღწია.

გამოკითხვის შედეგების თანახმად, საფრანგეთის პრეზიდენტს მხარს უჭერს გამოკითხული ფრანგების მხოლოდ 41%, ხოლო პრეზიდენტის პოსტზე მისი საქმიანობით უკმაყოფილოა 59%.

რეიტინგის ვარდნა ასევე უფიქსირდება საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს ედუარ ფილიპს. მისი საქმიანობით კმაყოფილია გამოკითხული რესპონდენტების 40%, ხოლო 59% კი უარყოფითად აფასებს მის საქმიანობას.

გამოკითხვაში მონაწილეობა 1.007 ადამიანმა მიიღო. ცდომილება 1,4-დან 3,1%-მდე შეადგენს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**სხვადასხვა**

- დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.
- შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მუხლსახსრების ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ურთულეს დაავადებას ჰაიმორიტს. მის პაციენტთა შორის იყვნენ ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. მის: თევდორე მღვდლის ქუჩა №48. ტელ: 593-00-08-26; 599-54-64-81.
- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# 18 წლამდე ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება



საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. სამწვრთნელო შტაბში ცვლილებაა: გუნდს ახალი დამრიგებელი ჰყავს – მგზავრების თავკაცი, ბუბა ბერიშვილი, რომელიც წინა ციკლში 16-წლამდელთა ნაკრებს წვრთნიდა და ეს გუნდი ბ დივიზიონიდან დააწინაურა, ახლა თავადაც „ასაკობრივად დაწინაურდა“.

საქმე ის არის, რომ 16-წლამდელთა ნაკრების შარშანდელმა ბირთვმა 18-წლამდელებში გადაინაცვლა და მათ გაჰყვა მწვრთნელიც. ბერიშვილს ნაკრებში 20-მდე კალათბურთელი ჰყავს გამოძახებული და ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონის მატჩებისთვის ამზადებს, რომლებიც 27 ივლისიდან 5 აგვისტოს ჩათვლით მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში გაიმართება.

საქართველოს ნაკრები ჯგუფში ბელგიასთან, უნგრეთთან, ესტონეთთან, ავსტრიასა და აზერბაიჯანთან ერთადაა. ჯგუფიდან 2 საუკეთესო ფლეი ოფში გავა და ბრძოლას ტურნირის სამეულში მოსახვედრად გააგრძელებს, რომლებიც მომავალ სეზონში ელიტაში ასპარეზობის საგზურს მიიღებენ.

აღნიშნული ტურნირისთვის მოსამზადებლად საქართველოს 2 ნაკრები ესტუმრა. ესენი არიან უკრაინა და ბელარუსი, რომლებიც საქართველოსთან ერთად პერიოდში ერთმანეთში 2-2 სპარინგ მატჩს გამართავენ.

ზაზა ფაჩულიას აკადემიაში ერთი შეხვედრა უკვე გაიმართა: საქართველო ბელარუსს შეხვდა და 75:65 დაამარცხა. ბუბა ბერიშვილმა 18 კალათბურთელი ათამაშა და მატჩის არსიც ეს გახლდათ – მწვრთნელს ის მოთამაშეები ენახა საქმეში, რომლებსაც ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის ამბიცია აქვთ.

საქართველოს ნაკრები ბელარუსს ერთხელაც შეხვდება, ხოლო შემდეგ უკრაინას ორჯერ გაეჯიბრება.

# შვეიცარიელი ფეხბურთელები და არგენტინის ნაკრები დასაჯეს



როგორც უკვე ვწერდით, შვეიცარიის ნაკრების ფეხბურთელებს გრანიტ ჯაკასა და ხერდან შაქირს დისკვალიფიკაცია ემუქრებოდათ, მაგრამ გადაურჩნენ.

შეგახსენებთ, რომ შაქირიმ და ჯაკამ გატანილი გოლების აღნიშვნისას ხელებით ორთავიანი არწივი გამოსახეს, რომელიც ალბანეთის სიმბოლოა. ალბანეთი კი ისტორიული მტერია სერბეთის, ამიტომაც ეს პოლიტიკურ ჟესტად ჩაუთვალეს.

საბოლოოდ, უმაღლესი საფეხბურთო ორგანიზაციის სასჯელი შემდეგში მდგომარეობს: ჯაკა და შაქირი ჯარიმის სახით 7.630 გირვანქა სტერლინგს გადაიხდიან. ფინანსური სასჯელი შეეხო შვეიცარიის ნაკრების კაპიტან შტეფან ლიხშტაინერსაც, რომელსაც ჯარიმის სახით 3.816 გირვანქის გადახდა დაეკისრა.

სოლიდური ფინანსური სანქცია დაეკისრა არგენტინის ნაკრებსაც. ამის შესახებ ინფორმაცია ფიფას პრესსამსახურმა გაავრცელა.

არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია 105.000 დოლარით დააჯარიმეს. ამის მიზეზი ხორვატიასთან მატჩში არგენტინელი გულშემატკივრების მიერ მოედანზე საგნების გადმოყრაა. ამას გარდა, მატჩის შემდეგ ფეხბურთელები ჟურნალისტებთან სასაუბროდ შერეულ ზონაში არ გაჩერდნენ.

# ტორპედო უკრაინელ ფეხბურთელს დაიმატებს



ქუთაისის ტორპედო ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპისთვის გაძლიერებას განაგრძობს. როგორც ცნობილი ხდება, რიონისპირულ გუნდს მალე 24 წლის უკრაინელი მცველი ალექსანდრ აზატსკი შეუერთდება – უკრაინელ ფეხბურთელთან ამ დღეებში გაფორმდება კონტრაქტი.

აზატსკი 2016 წელს ჩერნომორეცში დავით ხოჭოლავას მეწყვილე იყო, ბოლო სეზონში კი ჩეხური ბანიკის ღირსებას იცავდა, რომლის შემადგენლობაში 15 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 1 გოლი გაიტანა.

ახალგაზრდა ფეხბურთელს უთამაშია უკრაინის თითქმის ყველა ასაკობრივ ნაკრებში. შეგახსენებთ, ეს ტორპედოს რიგით მეორე ახალწვეული იქნება. მანამდე კლუბმა სლოვაკი ნახევარმცველი მარეკ ჰლინკა დაიმატა და ისიც ბანიკიდან.

აღსანიშნავია ისიც, რომ შესაძლოა, ახალწვეულთა რიცხვი გაიზარდოს, რადგან კლუბში ფეხბურთელების დამატებაზე აქტიურად მუშაობენ.

საჭირო და კარგი ინფორმაციაა ტორპედოს გულშემატკივრებისთვის, თუმცა, ვფიქრობთ – დაგვიანებული, ეს იმიტომ, რომ ტორპედოს თამაში 10 ივლისს აქვს, მანამდე რამდენად მოხერხდება ახალწვეულების შეთამაშება, საქმე ეს არის.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ლიდერი ჩიხურას დაუხვდება, მდევრები – აუტსაიდერებს



## 27 ივნისი

### დილა-ლოკომოტივი

20:00 გორი. თენგიზ ბურჯანაძე

ბოლო ტურებში ორივე გუნდი ჩინებულად გამოიყურება. დილა საერთოდაც მთელი სეზონის განმავლობაში სიმპათიური გუნდია, ლოკომოტივმა კი აშკარად მოუმატა. ამასთან, წინა ტურში მოედანზე გავიდა ლევან ყენია, რომელიც ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ უნიჭიერეს ფეხბურთელად ითვლებოდა, მაგრამ ტრავმებმა გააწამა. ვნახოთ, რამდენად ჩადგება ფორმაში და როგორ დაეხმარება ლოკომოტივს.

მატჩი კი საინტერესო უნდა გამოდგეს. თუმცა, ფავორიტად მაინც გორელებს მივიჩნევთ. ამასთან, გიორგი დარასელიას შეგირდებმა ბოლო ტურში წაიფორხილეს და საკუთარი გულშემატკივრის თვალში რეაბილიტაციას შეეცდებიან.

## 28 ივნისი

### საბურთალო-ჩიხურა

20:00 თბილისი. მიხეილ მესხი

საინტერესო და დაძაბული მატჩი უნდა გამოდგეს. ჩემპიონატის ლიდერი ევროსაგზურებისთვის მებრძოლ გუნდს დაუხვდება.

მიმდინარე ჩემპიონატში ორივე გუნდი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა, იმერლებს ხანდახან ჩავარდნები ახასიათებთ. საბურთალო უფრო სტაბილური გუნდია. ამასთან, ქალაქელებს კარგი ტემპი აქვთ აღებული და მის დაგდებას არ აპირებენ.

## 28 ივნისი

### სიონი-ტორპედო

17:30 თბილისი. მიხეილ მესხი 2

ბოლნისის სიონს თუ ელიგაში დარჩენა სურს, ქულების მოპოვება ამ მატჩში უნდა მოახერხოს. მიმდინარე სეზონში ქუთაისის ტორპედო ძალიან არასტაბილური გუნდია და მოგებაზე მეტი წაგება დაუგროვდა. აქედან გამომდინარე, შანსი სიონსაც აქვს.

თავის მხრივ, ტორპედოსაც თუ რამის დამტკიცება უნდა, სიონთან ქულები არ უნდა დაკარგოს, მაგრამ არც არაფერია გამორიცხული.

### კოლხეთი-დინამო

19:30 ზესტაფონი. დავით აბაშიძე

დინამო ფავორიტის სტატუსით ჩადის ზესტაფონში, სადაც საშინაო მატჩებს ატარებს ფოთის კოლხეთი. დედაქალაქელები უკვე 5 ქულით ჩამორჩებიან საბურთალოს და კოლხებთან მის შემცირებას თუ არა, გაზრდას ნამდვილად არ გეგმავენ

თავის მხრივ, ქულები სჭირდება კოლხეთსაც, რომელიც სახიფათო ზონაშია. კოლხებს, ჯერჯერობით, პირდაპირ გავარდნის არ ეშინიათ, მაგრამ, არავინ იცის, რა მოხდება მეორე წრის შემდეგ.

### რუსთავი-სამტრედია

12:00 თბილისი. მიხეილ მესხი

სეზონის წინ ბევრი ფიქრობდა, რომ ეს გუნდები მაღალი ადგილებისთვის იბრძოლებდნენ და ერთმანეთში დაძაბული მატჩები ექნებოდათ. დაძაბულობა არც ამ მატჩს მოაკლდება, მხოლოდ, იმ განსხვავებით, რომ ახლა გუნდები ქულების დაგროვებას ელიგაში ადგილის შესანარჩუნებლად აპირებენ.

რუსთაველები გარკვეული დრო ლიდერთა შორისაც იყვნენ, მაგრამ საქმეები აერიათ და ახლა გასავარდნ ზონას მხოლოდ ერთი ადგილით უსწრებენ.

სამტრედიამ სეზონი თავიდანვე არეულად დაიწყო. პირველ ტურში რომ მოიგო, მას შემდეგ 15 მატჩში გამარჯვების გემო არ იცის.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 16 | 12 | 1 | 3 | 31-13 | 37 |
| 2.დინამო | 16 | 10 | 2 | 4 | 27-14 | 32 |
| 3.დილა | 16 | 8 | 7 | 1 | 33-17 | 31 |
| 4.ჩიხურა | 16 | 8 | 4 | 4 | 24-15 | 28 |
| 5.ტორპედო | 16 | 6 | 3 | 7 | 21-17 | 21 |
| 6.ლოკომოტივი | 16 | 5 | 3 | 8 | 17-26 | 18 |
| 7.რუსთავი | 16 | 4 | 5 | 7 | 15-21 | 17 |
| 8.კოლხეთი | 16 | 3 | 5 | 8 | 16-34 | 14 |
| 9.სიონი | 16 | 3 | 4 | 9 | 14-27 | 13 |
| 10.სამტრედია | 16 | 1 | 6 | 9 | 9-23 | 9 |

# ესპანეთი და პორტუგალია წვალებით გავიდნენ



### ესპანეთი-მაროკო 2:2

კალინინგრადი. კალინინგრად არენა

0:1 ბუტაიბი (14), 1:1 ისკო (19), 1:2 ელ ნასირი (81), 2:2 ასპასი (90)

**ესპანეთი:** დე ხეა, კარვახალი, პიკე, რამოსი, ალბა, ბუსკეტსი, ინიესტა, ტიაგო ალკანტარა (ასენსიო 74), ისკო, დავიდ სილვა (როდრიგო 84), დიეგო კოშტა (ასპასი 74)

**მაროკო:** მუნირი, ჰაკიმი, და კოსტა, საისი, დირარი, ზიეში (ბუჰადუზი 85), ელ აჰმადი, ბელანდა (ფაჰრი 63), ბოუსუფა, ამრაბატი, ბუტაიბი (ელ ნასირი 72)

ძალიან დრამატული გამოდგა ეს მატჩიც და მთლიანად ჯგუფში განვითარებული მოვლენები. მესამე ტურის წინ ფლეი ოფში გასვლა გარანტირებული არავის ჰქონდა, ერთადერთი გავარდნილი გუნდი კი მაროკო იყო, რომელმაც ისეთი ბრძოლა გამოუცხადა ესპანეთს, მერვედფინალს მიღმაც შეეძლო დაეტოვებინა.

ესპანელებმა თავიდანვე დაამყარეს ბურთზე კონტროლი, მაგრამ აფრიკელთა კონტრშეტევები არ დააფასეს. განსაკუთრებით ხშირად ცდებოდნენ მცველები, რამდენჯერმე დავიდ დე ხეამაც იხსნა ესპანეთი. თუმცა, მაროკომ ორი გოლი მაინც გაიტანა. ერთია, ესპანელებმა ორივეჯერ მოახერხეს გათანაბრება, მაგრამ, ფაქტია, მაროკოს სიმპათიური ნაკრები ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე მეტს იმსახურებდა. ამ მატჩშიც ახლოს იყვნენ სენსაციასთან, ფერნანდო იეროს გუნდი იაგო ასპასმა იხსნა. ეს გოლიც ვიდეორეფერის დახმარებით ჩაითვალა.

ასეა თუ ისე, ესპანეთი მერვედფინალშია, ამასთან, პირველი ადგილით და მასპინძელ რუსეთს შეხვდება.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ისკო.

ორივე გუნდმა არასტაბილური თამაში გვიჩვენა, ამიტომ საუკეთესოს გამორჩევა ამანაც გაართულა. თუმცა, იყვნენ ერთეული ფეხბურთელები, რომლებიც სხვაზე უკეთ გამოიყურებოდნენ. ჩვენ მათგან ისკო შევარჩიეთ.

### ირანი-პორტუგალია 1:1

სარანსკი. მორდოვია არენა

0:1 კუარეჟმა (45), 1:1 ანსარიფარდი (90პ)

53-ე წუთზე რონალდუმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

**ირანი:** ბეირანვანდი, ჰაჯსაფი (მოჰამადი 56), პორალიგანჯი, ჰოსეინი, რეზაიანი, ეზათოლაჰი (ანსარიფარდი 77), ომიდი, ამირი, ტარემი, სარდარი, ჯაჰანბახში (გოდოსი 70)

**პორტუგალია:** პატრისიუ, პეპე, გერეირო, ფონტე, სედრიკი, ადრიენ სილვა, ვილიამი, ჟოაო მარიუ (მოუტინიო 84), კუარეჟმა (ბერნანდო სილვა 70), რონალდუ, ანდრე სილვა

მატჩის ბოლო წუთებში პორტუგალიელთა გულშემატკივრებს თუ სამედიცინო პრეპარატები მომარაგებული არ ჰქონდათ, ცუდ დღეში ჩაცვივდებოდნენ. თითქმის შემდეგ ეტაპზე მყოფმა გუნდმა ბოლო წუთებში ერთი გოლი გაუშვა, რომლის შემდეგ ირანელებს მეორეს გატანის შანსიც ჰქონდათ. ასე რომ მომხდარიყო, რონალდუ და კომპანია მუნდიალს მიღმა აღმოჩნდებოდნენ.

ამაში კი მთავარი დამნაშავე თავად რონალდუ იქნებოდა, რომელმაც 53-ე წუთზე პენალტი ვერ გამოიყენა. არადა, ამ დროს პორტუგალია 1:0-ს იგებდა და, კიდევ უფრო დაწინაურების შემთხვევაში, საქმეს ბოლომდე მშვიდად მიიყვანდა.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მანამდე რიკარდუ კვარეჟმამ ულამაზესი გოლი გაიტანა.

რონალდუს შეცდომა არ გაიმეორა ანსარიფარდმა, რომელმაც პენალტითვე გაათანაბრა ანგარიში და ირანელებს იმედი ჩაუსახა. თუმცა, ეს იმედი ტარემიმ მოუკლა, რომელმაც აშკარად დაინდო ევროპის ჩემპიონები, როდესაც რეალური შანსი გაუშვა ხელიდან.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – რიკარდუ კვარეჟმა.

აქაც რთული იყო ვინმეს გამოყოფა, ამიტომ „კლასიკური“ ვარიანტი შევარჩიეთ – გოლის ავტორი. ამასთან, ულამაზესი გოლის. ისიც აღვნიშნოთ, რომ ამ გოლმა მოუტანა პორტუგალიას საგზური, თორემ, არავინ იცის, რა მოხდებოდა.

### საბოლოო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 5 |
| 2.პორტუგალია | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| 3.ირანი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| 4.მაროკო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |

# შაკირა ფაშისტურსიმბოლიკიან სამკაულს ყიდდა

კოლუმბიელმა მომღერალმა შაკირამ ბოდიში მოიხადა მისი ერთ-ერთი სამკაულის ფაშისტურ სიმბოლო შავ მზესთან მსგავსების გამო, რომელსაც ის საერთაშორისო ტურნეს ფარგლებში ყიდდა.

საკონცერტო პროდუქციის ოფიციალურ ინტერნეტ-მაღაზიაში ინტერნეტ-მომხმარებლებმა აღმოაჩინეს ოქროს ჯაჭვი გულსაკიდით, რომელიც ფაშისტურ სიმბოლოს წააგავდა და რომელზეც წარწერები იყო გაკეთებული „შაკირა“ და „მსოფლიოს ტურნე ელდორადო“.



ტურის პრომოუთერმა განაცხადა, რომ სამკაული კოლუმბიამდელ სიმბოლოზე იყო დაფუძნებული.

– ჩვენ გულწრფელად ვიხდით ბოდიშს ამ არა განზრახ მსგავსების გამო და ის სამუდამოდ ამოვიღეთ გაყიდვიდან, – განაცხადა მან.

აღსანიშნავია, რომ შაკირას ტურნე ელდორადო 3 ივნისს დაიწყო. ამ დროისთვის სამკაული ფაშისტური სიმბოლიკით, რომელიც 9,95 დოლარი ღირს, გამქრალია როგორც შაკირას ოფიციალური ვებ-გვერდიდან, ისე ფეისბუქში მისი გვერდიდან.

# კენტუკიში საწყობის ჩამონგრევის შედეგად ორი მილიონი ლიტრი ღვინო დაიღვარა

ამერიკის კენტუკის შტატში დაინგრა საწყობი, რომელშიც ღვინო ბურბონი ინახებოდა. ამის შედეგად თითქმის ორი მილიონი ლიტრი სასმელი დაიღვარა.



ინციდენტი „1792“ მარკის საწყობში მოხდა, რომელიც ქალაქ ბარდსთაუნში მდებარეობს. შენობის ერთმა მხარემ სავარაუდოდ სასმელით სავსე კასრების სიმძიმეს ვერ გაუძლო. 20 ათასი ბარელი ბურბონისგან თითქმის ნახევარი განადგურდა.

უცნობია, ზუსტად რა გახდა საწყობის ჩამონგრევის მიზეზი. აღნიშნული ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

აღსანიშნავია, რომ გასული წლის მონაცემებით, კენტუკიში ბურბონის მსოფლიო ბრუნვის 95 პროცენტს აწარმოებენ.

# ავსტრალიელმა ერთ თვეში ლატარიაში სამჯერ მოიგო

ავსტრალიელმა მამაკაცმა ერთი თვის განმავლობაში სამჯერ გაიმარჯვა ლატარიაში და მილიონობით ავსტრალიური დოლარი მოიგო. ამ ინფორმაციას ადგილობრივი საინფორმაციო პორტალი ავრცელებს.

ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ სიდნეის მცხოვრებმა კარლო მასეტიმ ერთი კვირის განმავლობაში ორჯერ გაიმარჯვა ლატარიაში და 2,5 მილიონი ავსტრალიური დოლარის მფლობელი გახდა. მალე 59 წლის მამაკაცმა კიდევ ერთი ბილეთი შეიძინა და ამჯერად 48 ათასი ავსტრალიური დოლარი მოიგო. მასეტიმ საკუთარი ანონიმურობა დაარღვია იმისთვის, რათა მსხვილი თანხა შეეწირა ქველმოქმედებისთვის. მან 50 ათასი ავსტრალიური დოლარი აჩუქა გულისა და ფილტვების დაავადებათა სამკურნალო წმინდა ვინსეტის სახელობის საავადმყოფოს.



– ძალიან დიდ პატივს ვცემ ამ საავადმყოფოს და მიხარია, რომ მათი დახმარება შევძელი, – განაცხადა მასეტიმ.

იღბლიანმა ავსტრალიელმა აღიარა, რომ თუ პირველი მოგების შემდეგ ფიქრობდა, რომ მას უბრალოდ გაუმართლა, მესამე გამარჯვების შემდეგ დარწმუნდა, რომ მას ვიღაცა მფარველობს.

# იაპონელი განდეგილი ხალხში იძულებით დააბრუნეს

იაპონელი განდეგილი, რომელმაც კუნძულზე შიშველმა, სრულ მარტოობაში თითქმის 30 წელი გაატარა, ძალით დააბრუნეს ცივილიზაციურ სამყაროში.

მასაფუმი ნაგასაკი რიუკიუს არქიპელაგის დაუსახლებელ კუნძულ სოტოპანარიზე 1989 წლიდან ცხოვრობდა. მას არ ჰქონდა სანთებელა, პროდუქტები, ტანსაცმელი და კავშირგაბმულობის საშუალებები. კუნძულზე მეთევზეებიც კი იშვიათად გადადიოდნენ. მამაკაცს არაერთხელ განუცხადებია, რომ მისი ერთადერთი ოცნება კუნძულზე სიკვდილი იყო, რომელიც მის სახლად იქცა.



– ყველაფერს, რაც მჭირდება, აქ ვნახულობ. მეტი მე არაფერი მინდა. მინდა სიცოცხლეს აქ დავემშვიდობო. არავინ შევაწუხო, – განაცხადა იაპონელმა მამაკაცმა.

ყოველდღე დილით ის სპორტით იყო დაკავებული, შემდეგ კი სანაპიროს დასუფთავებით.

მიუხედავად მისი სურვილისა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გრიპით დაავადებული 82 წლის ნაგასაკი კუნძულიდან წამოიყვანა და სუსტი ჯანმრთელობის გამო მას უკან დაბრუნება აუკრძალა. ის ქალაქ ისიგაკის ხანდაზმულთა სახლში მოათავსეს, რომელიც კუნძული სოტოპანარიდან 60 კილომეტრში მდებარეობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# „ჩაკეტილი ზონა — ფეხბურთის ფედერაცია“

ტელეფონს არ იღებენ, გითიშავენ, ასე იყო ფაშისტების დროს. თუ ფიურერი დარეკავდა, მაშინ იღებდნენ გესტაპოს შეფები. განსხვავება არ არის. ერთ გამოჩენილ ფეხბურთელს ვუთხარი, კობიაშვილის ტელეფონი მომეცი-მეთქი, მან მიპასუხა: იბო, რად გინდა, მაინც არ აიღებს. ზუსტად ასეა.

ვინ ხარ, რას წარმოადგენ, შე გრანტიჭამია, რა გაგიკეთებია ქართულ ფეხბურთში, რომ მოგიყვანეს და დაგსვეს ფედერაციაში, შე მატყუარა და აფერისტო, შენი ორი თანაშემწით – მუჯირი და ქორიძე რომ გყავთ. ვიტალი დარასელიას წიგნის პრეზენტაციაზე ლეგენდარულმა ფალავანმა, მრავალგზის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონმა, ბატონმა გურამ საღარაძემ გთხოვა, ლევან, იბო დოლიძე ჩემი მეგობარი კაცია და იქნებ ის დარჩენილი თანხა, რომელიც ლეგენდარული ნოდარ ახალკაცის სახელობის სკოლაში ყველა ფეხბურთელის ფოტოთი სტენდი გააკეთა და ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, იმისთვის მიგეცა. სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა მარინა გიგაურმა ბრძანა: ბატონო იბო, ეს რამხელა სიხარული აჩუქეთ ბავშვებს, ბავშვებიდან იმხელა მუხტი წამოვიდა, რომ სწავლის დონემ საგრძნობლად მოიმატაო. შენ კი, გრანტიჭამია ლევან კობიაშვილო, ერთი არ შემოგიხედია ამ სკოლაში და ურცხვად იტყუები, რომ მე თქვენ ამ სურათების ანგარიში გამისწორეთ. ეს მე კი არა, შენმა აფერისტმა და მატყუარა თანაშემწეებმა შეგიჭამეს და ისიც ვერ გაგიკონტროლებია, ეს თანხა სად წავიდა. მაშინ მე გეტყვი, ეს თანხა შენმა მატყუარა ქორიძემ და მუჯირმა შეყლაპეს და ჩვენს ლეგენდა ფალავანს, ბატონ გურამ საღარაძეს ურცხვად უმტკიცებ, თითქოს მე მომეცით. რახან მეომები, ვიომოთ, განცხადება შემაქვს საფინანსო პოლიციაში და აუდიტში, მაგ გრანტებს როგორ ანიავებთ, თქვე უნამოსოებო და ჩემს თანხაზე, როცა 180 სურათი წვალებით გავაკეთე და ჰკიდია მაგ სკოლაში, უარს მეუბნებით. ნაძალადევის ძირძველ მიწაზე უამრავი ვარსკვლავი ფეხბურთელი დაიბადა. საქართველოს არც ერთ კუთხეში ამდენი ფეხბურთელი არ გაზრდილა. მთავრობას მივმართავთ, დროზე უშველეთ ქართულ ფეხბურთს და ეს ნაძირლები, 4 კაცის გარდა, მოაშოროთ, ისე კი არა, როგორც ჩვენი ლეგენდა ფეხბურთელები – ხურცილავა, ჩივაძე, ძოძუაშვილი, გაბელია, დარსაძე, ჟვანია გამოუშვით, როგორც ქუჩის ბიჭები. თქვენ იცოდეთ კარგად, სულ მალე ჭიტლაყით გამოგაგდებენ მაქედან 4 კაცის გარდა, ისინი პატიოსანი ხალხია. ზოგიერთები კი ნაგვის მანქანით ხართ ხევში ჩასაყრელები.





**82 წლის პენსიონერი, გულშემატკივარი, ორი წიგნის ავტორი ფეხბურთში, ირაკლი (იბო) დოლიძე. მობილური ტელეფონი: 579 00 12 81**

# ასტროპროგნოზი

## 27 ივნისისთვის



**ვერძი** – ჭეშმარიტებას ეძიებთ და ჩასწვდებით. ეცადეთ, დაიცვათ ზნეობა და მორალი. **კურო** – პრობლემების დაძლევაში თვითდარწმუნება და ოპტიმიზმი დაგეხმარებათ. გამოიჩინეთ დიდსულოვნება. **ტყუპები** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გამოიტანთ. ეცადეთ, საყვარელ ადამიანს გული არ ატკინოთ. **კირჩხიბი** – ოპტიმიზმი და შრომისმოყვარეობა დღის დევიზია. ნუ იზარმაცებთ და მომავლის იმედი გქონდეთ. **ლომი** – სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. ნებისმიერი წამოწყება თქვენთვის სასურველ შედეგს გამოიღებს. **ქალწული** – შესაძლოა, ფინანსურად სერიოზულად დაზარალდეთ. დიდი ყურადღება და შორსმჭვრეტელობა გმართებთ. **სასწორი** – ცვლილებებს ნუ შეუშინდებით. პირიქით, სასურველიც კია, თქვენს ყოველდღიურობაში კორექტივები შეიტანოთ. **ღრიანკალი** – დღეს უმართლებთ ბიზნესმენებსა და მეწარმეებს. ნებისმიერი გადაწყვეტილება გაბედულად მიიღეთ. **მშვილდოსანი** – ემოციების გამოვლენას ერიდეთ. დღეს თქვენს ტალანტსა და შესაძლებლობებს სრულყოფილად წარმოაჩენთ. **თხის რქა** – წინააღმდეგობრივი დღეა. მოუთმენლობა, აჩქარება და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება უარყოფით შედეგს გამოიღებს. **მერწყული** – კრიტიკული დღეა. არ გიმართლებთ, რაც თქვენი წინაუხედაობის ბრალია. **თევზები** – ცივი გონება, კრიტიკული განსჯა დღის დევიზია. რომანტიკული პერიოდი მთავრდება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 2. გარეული ცხოველი, მადრიდის სიმბოლო; 3. დრამატული ნაწარმოები; 4. მტკიცე ლითონი, ნახშირბადისა და რკინის ნაერთი; 7. სომხეთის ძველი დედაქალაქი; 9. ვრცელი, უტყეო ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 12. ორთქმავლის გამომგონებელი ინგლისელი მექანიკოსი; 14. ძალზე მტკიცე მინერალი, ძვირფასი ქვა; 15. სააღგილმამულო, საკრედიტო დაწესებულება ძველად საქართველოში; 17. ულტრანაციონალური ორგანიზაცია პალესტინაში; 20. ძველებური კაჟიანი თოფი.

**თარაზულად**: 5. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 6. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. ქართული ძილისპირული; 10. ღვინის წარმოების ცენტრი ყირიმში; 11. ტყვიის შემცველი ოპტიკური მინა; 13. იტალიური ლიქიორი; 16. გერმანიის პირველი იმპერატორი; 18. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 19. საჭმელი სოკო; 21. სხვადასხვა კლასის სამგზავრო ვაგონებისგან შედგენილი მატარებელი; 22. რაიონული ცენტრი გურიაში; 23. ირლანდიის დედაქალაქი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტაიკონავტი; 2. რამოსი; 3. კოფეინი; 4. ფლუსი; 5. „ვალმარტი“; 6. ჟესტი; 7. ბიგამია; 9. გრაცია; 13. „სტელა“; 17. „მუზა“; 18. ერი.

**თარაზულად:** 1. ტაპიორი; 3. კრუიფი; 8. ბაგერი; 10. კოლხეთი; 11. „ტოკაი“; 12. კიშლაკი; 14. „ნარიტა“; 15. პრისტლი; 16. ტემზა; 19. მულატი; 20. ჰიგინსი; 21. დივანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სუფლიორი; 2. ნაღმი; 3. სიბარიტი; 4. კეხანა; 7. დიუნა; 9. ბელგა; 12. „ბრიჯსტოუნი“; 14. როიალი; 15. „მეეზოვე“; 17. წუნწუხი; 20. ოხორი.

**თარაზულად:** 5. კუროსავა; 6. ფრიკასე; 8. კომოციო; 10. მონოტიპი; 11. ბრუნეი; 13. პრეტორი; 16. ბარიტონი; 18. სუფსა; 19. სელბი; 21. სხალთა; 22. ავადჰარა; 23. „კრახუნა“.

# ხელოვანები კულტურისა და განათლების სამინისტროების გაერთიანებას აპროტესტებენ





პრემიერ-მინისტრის ახალ ინიციატივას კულტურისა და სპორტის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების გაერთიანებასთან დაკავშირებით სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ხელოვანები აპროტესტებენ. თამარ ლორთქიფანიძემ სპეციალური პეტიციაც შექმნა, რომელსაც ხელს აწერენ მსახიობები, რეჟისორები, სცენარისტები, დრამატურგები... ისინი პრემიერს დეტალურად უხსნიან, თუ რატომ არ შეიძლება კულტურის სამინისტროს განათლების სამინისტროსთვის მიერთება:

– ბატონო პრემიერ-მინისტრო, თქვენ მიერ მინისტრთა ახალი კაბინეტის შექმნამდე გამოცხადდა სამინისტროების რესტრუქტურიზაციის გეგმა, მათ შორის დაგეგმილია განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ჩამოყალიბება.

ყოველი ქვეყნისთვის კულტურის სფერო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. საქართველოსთვის – სასიცოცხლო. რატომ? იმიტომ რომ, სხვა მიზეზებთან ერთად, საქართველოსა და ქართველებს საუკუნეებია მსოფლიო მისი კულტურის დამსახურებით იცნობს. ეს ალბათ უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, როდესაც მცირერიცხოვან ქვეყანას დღევანდელ სამყაროში საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობების გარეშე არსებობა არ შეუძლია. ამას გარდა: კულტურა განსაზღვრავს ერის იდენტურობას და ქმნის ფასეულობათა სისტემას, რომელზე დაყრდნობითაც ვითარდება საზოგადოება;

დღევანდელ საქართველოში, სადაც ტერიტორიის დიდი ნაწილი დაკარგულია, სადაც მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა მძიმეა, სადაც სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ მიგრანტთა რიცხვი წლიდან წლამდე უსწრაფესად იზრდება, სადაც საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი იძულებულია, ძირითადად უმუშევრობის გამო სხვა ქვეყნებში გადაიხვეწოს კულტურა, ამ პრობლემების დასაძლევად ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი ძალაა;

გლობალიზაციის ეპოქაში საქართველო განსაკუთრებულ საფრთხეშია. დავკარგავთ იდენტურობას, დავკარგავთ ათასწლობით, პირდაპირი მნიშვნელობით სისხლის ფასად შენარჩუნებულ ქართველობას ე.ი. აღარ ვიარსებებთ, როგორც ერი. სხვა დიდი და მძლავრი სახელმწიფოებიც კი განგაშს ტეხენ ამის გამო და ცდილობენ, მაქსიმალურად შეაჩერონ ეს პროცესი. აქედან გამომდინარე, დღეს კულტურის სფეროს მხარდაჭერა და განვითარება საქართველოსთვის ქვეყნის თავდაცვის ტოლფასია;

კულტურა ფუნდამენტია ყველა სხვა სფეროს განსავითარებლად. რა კარგი რეფორმაც არ უნდა ჩატარდეს ნებისმიერ სხვა სფეროში, მიმღები შესაბამისი კულტურული მზადყოფნის თუ არ იქნება, შედეგიც არ იქნება დამაკმაყოფილებელი.

ჩვენი ქვეყნის ტრაგედია ისაა, რომ საუკუნეების მანძილზე ნადგურდებოდა საზოგადოების მოაზროვნე ელიტა, ანუ ის ნაწილი, რომელსაც ფასეულობები, ცოდნა და გამოცდილება უნდა გადაეცა მომავალი თაობებისთვის, ბოლოს რამდენჯერმე XX საუკუნის მანძილზე. დღეს ამას უმწარესად ვიმკით.

საზღვარგარეთ წასული მწერლები, მეცნიერები, ხელოვანები, სპორტსმენები უდიდეს წარმატებას აღწევენ სხვა ქვეყნების სახელით. აუცილებელია ისეთი კულტურული და სამუშაო გარემოს შექმნა, რომ შეწყდეს მიგრაცია და მეტიც, იქ წასულებს დაბრუნების სურვილი გაუჩნდეთ. უმნიშვნელოვანესია, რომ მათ თავიანთი პროფესიონალიზმი და გამოცდილება გაუზიარონ ახალგაზრდა თაობებს საქართველოში.

შემოქმედება მხოლოდ ადამიანის უნარია, რომელიც მაღალკულტურულ საზოგადოებაში პროგრესის საწინდარია, ამიტომ შემოქმედებს უნდა შეექმნათ საუკეთესო პირობები საქმიანობისთვის;

სხვადასხვა სფეროების ერთ სამინისტროში გაერთიანების პრაქტიკა ბევრ ქვეყანაშია. იმ ქვეყნებში სადაც ამ ტიპის „შერწყმა“ მოხდა საქართველოსგან განსხვავებული სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და თუნდაც კულტურული მოცემულობაა. ქვეყნის მასშტაბიცაა გასათვალისწინებელი. იქ სამინისტროებს სხვა ფუნქცია აქვთ – სხვადასხვა ინსტიტუციები, ორგანიზაციები, ქველმოქმედები და ა.შ. გამომდინარე საჭიროებიდან ფინანსურ მხარდაჭერას უწევენ კულტურას, სამინისტროები კი კულტურის სტრატეგიასა და პოლიტიკაზე, საერთაშორისო საკითხებზე მუშაობენ. საქართველოში ყველაფერი სხვაგვარადაა. დღეს არსებული მდგომარეობით კულტურის სფეროს დაფინანსება გაცილებით მწირია, ვიდრე მას ესაჭიროება, ბიუჯეტის შარშანდელმა 10%-მა შემცირებამ კიდევ უფრო დაამძიმა მდგომარეობა. დღევანდელი ბიუჯეტი კულტურის სფეროს განვითარების არანაირ საშუალებას არ იძლევა. არ არსებობს ქველმოქმედების კანონი, რომელიც ბიზნესს გაააქტიურებდა ამ მიმართულებით, არ ვითარდება კრეატიული ინდუსტრიები, რომლებიც ახალ სამუშაო ადგილებს შექმნიდა, საქართველოში არ არსებობს ძლიერი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, რომელთა დახმარებით შესაძლებელი გახდებოდა აქტუალური და ინოვაციური საქმიანობის ჩატარება. საქართველო ყოველთვის მულტიკულტურული ქვეყანა იყო და მრავალი ერის წარმომადგენლებისთვის სამშობლოდ იქცა. დღეს მიგრანტთა რიცხვის საგრძნობი ზრდაა და, შესაბამისად, ახალი მოცემულობა გაჩნდა, რაც ძალიან სერიოზულ მუშაობას მოითხოვს, რათა ტრადიციულად გავუფრთხილდეთ მათ კულტურას და, რაც მთავარია, გავუზიაროთ და დავიცვათ ჩვენი.

საქართველოში კულტურის სამინისტროს სხვა ფუნქცია და დატვირთვა აქვს. სახელმწიფოს მნიშვნელოვანი მხარდაჭერის გარეშე ეს სფერო დღეს ვერ იარსებებს და ძალიან მოკლე ხანში ნეგატიურ პროცესებსა და შედეგებს მივიღებთ.

ბატონო პრემიერ-მინისტრო, ცვლილებები ხომ ქვეყნის სასიკეთოდ უნდა ხორციელდებოდეს!

არც ერთ განცხადებაში, რომელიც საჯაროდ ამ თემაზე გაკეთდა, არავის უთქვამს, რომ სამინისტროების გაერთიანება ამა თუ იმ სფეროს განვითარების მიზნით უნდა განხორციელდეს. ითქვა მხოლოდ, რომ სამინისტროების რიცხვის შემცირებითა და სხვადასხვა სფეროს შერწყმით ბიუჯეტს 124.000.000 ლარი დაეზოგება. 124.000.000 ლარის დაზოგვა აუცილებლად მოხდება, ვინაიდან ეს ამ სახით მხოლოდ მათემატიკური ფორმულაა. აუცილებლად დაიზოგება, მაგრამ ქვეყანა შეიძლება ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩავარდეს. მექანიკურად სხვადასხვა სფეროს გაერთიანება ერთი ქუდის ქვეშ გვაფიქრებს, რომ არაფერი სასიკეთო მომავალში არ გველის.

ისეთი სერიოზული საკითხი, როგორიც ახალი სტრუქტურული მოწყობაა, რომელიც ამა თუ იმ სფეროს გადარჩენაზე ან განვითარებაზეა ორიენტირებული, ითვალისწინებს მინიმუმ წინამოსამზადებელ კვლევას, კონსულტაციებს კონკრეტული სფეროს პროფესიონალებთან.

აუცილებელია, რომ სახელმწიფოს მმართველებს ჰქონდეს გააზრებული პასუხისმგებლობა ქვეყნის არა მხოლოდ აწმყოს, არამედ მომავლისა და ყოველი მოქალაქის წინაშე იმ შედეგებზე, რაც ნაჩქარევ არჩევანს და გადაწყვეტილებას შეიძლება მოჰყვეს.

არავინ დავობს, რომ განათლებისა და სპორტის სფეროებიც უმნიშვნელოვანესია. ამ სფეროებშიც უამრავი პრობლემაა გადასაწყვეტი. ძალიან რთულად წარმოსადგენია გაერთიანებული, მონსტრი, ვგულისხმობთ სამუშაოს მოცულობას, სამინისტროს ეფექტური მართვა. თუკი გაერთიანება ბიუროკრატიული აპარატის შეკვეცის მიზნით ხორციელდება, გაცილებით მარტივია, კონკრეტულ სამინისტროებშივე ჩატარდეს გონივრული ოპტიმიზაცია.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს დღევანდელი სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ნახსენები სფეროების ერთ სამინისტროში გაერთიანება არამცთუ სასიკეთო, შეიძლება, საზიანო აღმოჩნდეს.

მიგვაჩნია, რომ დღევანდელი რეალური მდგომარეობით, კულტურის სფერო უნდა გამოცხადდეს ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად, კულტურის სამინისტრო უნდა არსებობდეს დამოუკიდებლად, უნდა შემუშავდეს ახალი კონცეფცია, განისაზღვროს მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები და სამოქმედო გეგმები, გაგრძელდეს მუშაობა კულტურის პოლიტიკაზე, დასაბუთდეს და გაიზარდოს სფეროს დაფინანსება რეალური მოთხოვნების შესაბამისად. მთელი ეს სამუშაო აუცილებელია დაიგეგმოს პროფესიონალებთან კონსულტაციების საფუძველზე.

ბატონო პრემიერ-მინისტრო, ვიმედოვნებთ, რომ ქვეყნის სასიკეთოდ თქვენც გაიზიარებთ ჩვენს მოსაზრებას და ამ ეტაპზე კულტურის სფეროს გამოაცხადებთ პრიორიტეტულ მიმართულებად და მართვას მიანდობთ კულტურის სამინისტროს.

# ეთერ კაკულიას გარდაცვალებიდან 3 წელი გავიდა



მომღერალ ეთერ კაკულიას გარდაცვალებიდან 3 წელი გავიდა. ყველაზე ენერგიული და მხიარული ხელოვანი მისმა მეგობარმა, იუმორისტმა მამუკა ლომაშვილმა გაიხსენა:

– ეთოს გარდაცვალების დღეა. მინდა მოვიგონო ეს დიდი ადამიანი... ჩემი მეგობარი და „კლასელი“. რამდენი რამ მაქვს მისგან ნასწავლი... დიდი მეგობრობა იცოდა. ამ საქმეში პელეზეც მეტი იყო... უზომოდ უყვარდა ადამიანები და ყველაფერს აკეთებდა, რომ მის გარშემო ყველას ბედნიერად ეგრძნო თავი. იყო უზომოდ განათლებული, საღამოობით რომ მირეკავდა, ყოველ ჯერზე ახალი წიგნი ჰქონდა გადაშლილი და რაღაცებს მეც მიყვებოდა ხოლმე. ბოლოს ენციკლოპედიის მესამე „კრუგზე“ წავიდა.

განსაკუთრებული ადამიანი იყო, არც ისეთი მხიარული და კისკისა გოგო იყო, როგორიც ჩანდა მაგრამ. ამას არასდროს შეამჩნევინებდა სხვას. რამდენი რამ მახსენდება და თან მეცინება. აბა სხვანაირად როგორ იქნება. ჭეშმარიტად სახალხო არტისტი და კოლორიტი ეთერ კაკულია, რომელიც ყოველთვის დარჩება ჩვენთან ერთად. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. მე კი მოსაგონარიც და გასახსენებელიც ბევრი დამრჩა... მე ასეთი მეგობარი მყავდა, გულწრფელი და რაღაცნაირად განსხვავებული, ყურადღებიანი და მზრუნველი.

# „ქართული ხმები“ და თბილისის ბიგ ბენდი იუბილეს ერთად აღნიშნავენ

2018 წელი ლეგენდარული „ქართული ხმებისა“ და არანაკლებ ლეგენდარული თბილისის ბიგ ბენდისთვის საიუბილეოა. ქართულ ხმებს დაარსებიდან 30 წელი შეუსრულდა, თბილისის ბიგ ბენდს კი – 20.

ამ საიუბილეო თარიღების აღსანიშნავად საქართველოს მასშტაბით ერთობლივი საკონცერტო ტურნე იწყება, რომელიც სტარტს 30 ივნისს ახალციხიდან აიღებს.

„ქართული ხმები“ და თბილისის ბიგ ბენდი საქართველოს 11 ქალაქს ეწვევა და ახალციხიდან დაწყებული ტურნე ბორჯომში, ლაგოდეხში, თელავში, ზუგდიდში, მესტიაში, ფოთში, ბათუმში, ჩოხატაურში, ქუთაისსა და ჭიათურაში გაგრძელდება, სადაც 20 ივლისს დასკვნითი კონცერტი გაიმართება.

# „იქს ფაქტორიდან“ ია ტომაში გაუშვეს



მუსიკალური შოუ „იქს ფაქტორი“ ნელ-ნელა ფინალს უახლოვდება. დარჩენილ კონკურსანტთა შორის გამარჯვების სურვილი სულ უფრო მატულობს.

„იქს ფაქტორის“ კონკურსანტებმა სხვადასხვა ცნობილი ფილმებიდან სიმღერები შეასრულეს. კინოტურის კონკურსი წარუმატებელი ია ტომაშისთვის აღმოჩნდა.

სულ კონცერტის განმავლობაში 36.456 ხმა დაგროვდა, ხმების უმრავლესობა 18.21% მიიღო და ლიდერი გიორგი ფუტკარაძე გახდა.

აუტსაიდერები კი აღმოჩნდნენ ია ტომაში და მარიამ შენგელია. ჟიურის გადაწყვეტილებით, პროექტი ია ტომაშმა დატოვა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილი მამუკა, ძმა ომარი, რძლები თამარი და ირმა, შვილიშვილები ნიკა, ნანო და დათო მსხილაძეები, ნათესავები, ოჯახის ახლობლები იუწყებიან

**ნანული ტონიას**

გარდაცვალებას.

**დაკრძალვა:** ხუთშაბათს, 28 ივნისს, 15 საათზე.

**მისამართი:** ბაგები, I კორპუსი, II სადარბაზო.



**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ხ ს ო ვ ნ ა

**ასოციაცია „მესხეთის“ პრეზიდიუმმა ამ დღეებში ჩაატარა ხსოვნის დღე, რომელიც მიეძღვნა მესხეთის ამაგდარი ადამიანების ალექსანდრა დალალიშვილის, ლუბა მელიქიძე-თამაზაშვილის, ლუბა ყულჯანიშვილის, შალვა ბოჭორიშვილის გახსენებას.**

**მთარგმნელი ქეთევან ჭარხალაშვილი**



ალექსანდრა დალალიშვილი



ლუბა მელიქიძე-თამაზაშვილი



ლუბა ყულჯანიშვილი



შალვა ბოჭორიშვილი

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

27 ივნისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.4531 |
| ევრო | — 2.8561 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.2504 |
| 100 რუსული რუბლი | — 3.8977 |

## ამინდის პროგნოზი 27 ივნისისთვის




## იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

19 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის პირველი ტომი




**ალექსანდრე იასაღაშვილი**

მგლის ბილიკი

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

22 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-2 ტომი




**ალექსანდრე იასაღაშვილი**

შავი ვარდი

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

26 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-3 ტომი




**იორამ ჩადუნელი**

საზღაური

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

29 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-4 ტომი




**რომან გვენცაძე**

საბედისწერო გასროლა

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

3 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-5 ტომი




**ჯემალ ჩახავა**

ქურდები და არიფები

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი




**ავთანდილ ბუხრაშვილი**

ვინ მოკლა ინსპექტორი

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი




**მაკა სეფაშვილი**

დანაშაული აღარ მოხდება

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## იუმორი



კაცი ქალს ეუბნება:

– იცი, ცოლად ვერ მოგიყვან.

– რატომ, ძვირფასო?

– ამბობენ, რომ ჩემამდე ბევრი მამაკაცი გყოლია.

– ჩემი მომზადებული საჭმელები არ მოგწონს?

– არა, რას ამბობ, ასეთი გემრიელი საჭმელები არ მიჭამია.

– იქნებ ჩემ მიერ დალაგებული სახლი არ მოგწონს?

– რას ამბობ, ყველაფერი დაწკრიალებულია.

– იქნებ ის არ მოგწონს, თუ როგორ ვხვდები სტუმრებს?

– არა, პირდაპირ აღფრთოვანებული ვარ შენ მიერ სტუმრების მიღებით.

– მაშინ იქნებ საწოლში არ მოგწონვარ?

– ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ასეთი სიამოვნების მიღება შეიძლებოდა.

– და, შენი აზრით, ეს ყველაფერი დაუსწრებელ კურსებზე ვისწავლე?

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენი აზრით, დეპუტატების რობოტებით შეცვლა შეიძლება?

– არა, რა თქმა უნდა!

– რატომ?

– იმიტომ, რომ რობოტოტექნიკის უპირველესი წესდებით, რობოტს არ შეუძლია ადამიანს ზიანი მიაყენოს.

●●●

სიძე სიდედრს ეუბნება:

– ბოსტანში ჩადი და მწვანილი ამომიტანე.

– ვერ ჩავალ.

– რატომ?

– გველების მეშინია.

– პირველად ვხედავ, რომ ვინმეს საკუთარი თანამოძმის ასე ეშინოდეს.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, დედაჩემს მგონი რაღაც ჭირს.

– რა მოხდა?

– ვერ იძინებს.

– ეშმაკს არასოდეს სძინავს!

●●●

მოდელს ფოტოსესია აქვს. ფოტოგრაფი ეუბნება:

– ახლა კი, ღრმად ჩაფიქრებული გამომეტყველება მიიღე.

– როგორ?

– ახლავე დაგეხმარები. აბა მითხარი რამდენი იქნება შვიდი, რომ ცხრაზე გავამრავლოთ?

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა

-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები

-კანის დაავადებები

-უროლოგია

-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, ღ.ყიფიანის ქ. 2

ტელეფონი - 2 47 91 12

10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით




## ავსტრალიელმა 20-ტონიანი ვეშაპის ნახტომი გადაიღო



20-ტონიანი კუზიანი ვეშაპის წყლიდან ვერტიკალურად ამოხტომა ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროსთან ფოტოკამერაზე იქნა აღბეჭდილი.

ზღვის ცხოველის ნახტომი ველური ბუნების ფოტოგრაფმა ჯონ გუდრიჯმა გადაიღო, როდესაც ის კრუიზში მყოფი ვეშაპებს აკვირდებოდა.

– ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა და ორ წამზე ნაკლებ დროს გრძელდებოდა. ჩვენ იმ დღეს რამდენიმე ვეშაპი შევნიშნეთ, თუმცა მანამდე მსგავსი არაფერი მომხდარა, – განაცხადა ფოტოგრაფმა.

აღსანიშნავია, რომ კუზიანი ვეშაპები სიგრძეში 18 მეტრამდე იზრდებიან, ხოლო მათი წონა 50 ტონას აღწევს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კრიშტიანო რონალდუ: „მხოლოდ მერვედფინალზე ვფიქრობთ“



პორტუგალიის ნაკრების მთავარმა ვარსკვლავმა კრიშტიანო რონალდუმ განაცხადა, რომ მისი გუნდი მხოლოდ მერვედფინალზე ფიქრობს, სადაც პორტუგალია ურუგვაის დაუპირისპირდება.

რონალდუს აზრით, პორტუგალიელებს შეუძლიათ ჩემპიონობისთვის ბრძოლა.

– ირანთან შეხვედრა დაძაბული გამოდგა, მაგრამ მთავარია, რომ შედეგს მივაღწიეთ და მერვედფინალში გავედით. მხოლოდ მერვედფინალზე ვფიქრობთ და ვიცით, რომ ურუგვაი ძლიერი მეტოქეა, მაგრამ მის დამარცხებას შევძლებთ, – განაცხადა კრიშტიანო რონალდუმ.

## ისკომ ვიდეოგამეორება შეაქო




ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველმა ისკომ ვიდეოგამეორება შეაქო და თქვა, რომ ამის წყალობით ესპანეთის ნაკრებმა ქულა მოიპოვა და, ასე რომ არ მომხდარიყო, უსამართლობა იქნებოდა:

– ყველამ ვნახეთ, რომ მსაჯმა ჩვენი გოლი შეცდომით არ ჩათვალა, ხოლო შემდეგ ვიდეოგამეორების გამო მან შეცვალა თავისი გადაწყვეტილება. ძალიან მომწონს ეს სისტემა და ვთვლი, რომ ეს ფეხბურთს გაცილებით სამართლიანს გახდის.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იბრაჰიმოვიჩმა შვედეთის ნაკრები გააკრიტიკა




ზლატან იბრაჰიმოვიჩმა გერმანიისა და შვედეთის შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ შვედებს უკეთ უნდა ეთამაშათ. იბრამ დაამატა ისიც, რომ მისი ნაკრებში ყოფნის შემთხვევაში შვედეთი უკეთეს შედეგს აჩვენებდა.

– ძალიან დამწყდა გული, რომ გერმანიასთან ბოლო წუთზე წავაგეთ, მაგრამ, როდესაც მეტოქე 10 კაცით დარჩა, შვედებს უფრო უნდა ეყოჩაღათ. სამწუხაროდ, მათ ეს ვერ შეძლეს. ვფიქრობ, ნაკრებში რომ ვყოფილიყავი, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა, – განაცხადა იბრაჰიმოვიჩმა.

## ფერნანდო იერო: „რუსეთთან რთული შეხვედრა გველის“



ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ფერნანდო იერომ რუსეთთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს ძალიან რთული შეხვედრა ელის, რადგან რუსეთი სუსტი არ არის და საკუთარ მოედანზე თამაშობს.

გარდა ამისა, ესპანეთმა უნდა მოუმატოს და ჯგუფურ ეტაპზე დაშვებული შეცდომები აღარ გაიმეოროს:

– რუსეთს საკუთარ მოედანზე მაყურებლის უდიდესი მხარდაჭერა ექნება და, ბუნებრივია, ეს მათ უპირატესობას აძლევს, თუმცა ჩვენ მხოლოდ გამარჯვება დაგვაკმაყოფილებს და ამისთვის საჭიროა, დაშვებული შეცდომები არ გავიმეოროთ.

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. ფარმაცევტთა ოფიციალური სახელმძღვანელო კრებული; 2. აჭარული ცეკვა; 3. მუსლიმთა რელიგიური სამართალი; 4. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 5. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 6. აეროპორტი სინგაპურში; 7. კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება; 9. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 13. მაჯისცემა ანუ...; 17. ეგრისის მთავარი მე-6 ს-ში; 18. ქუთაისური ლუდი.

**თარაზულად**: 1. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 3. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 8. ბადრიჯნით, პამიდვრით მომზადებული ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი; 10. ეკიპაჟის საცხოვრებელი სათავსო გემზე; 11. ყვითელი ფერის გამჭვირვალე, მტკიცე, ფისოვანი მინერალი; 12. გერმანიის კანცლერი; 14. ბალტიის ზღვისპირა კურორტი პოლონეთში; 15. ქალაქი იმერეთში; 16. პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სამხრეთ საფრანგეთში; 19. ისრაელის დაზვერვა; 20. მდინარე რიგაში; 21. ნახევარკუნძული შავ ზღვაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

